# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 3 ივნისი, 2009 წელი.

№ 107 (6208)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## მთავარი არის კონსტიტუცია, განსაცვიფრებლად არის მთავარი!



3

„Ceterum censeo Carthaginem esse delendam“

„თუმცა ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს“.

## პოლიტნიკურტიში

- „მაგარი“ „დასლაბდა“ თუ „კუდს“ ვერ მალავენ?!
- ვეღარც „მეორეს“ ენდობი კაცი?!
- პოლიციელები ურჩ მოსწავლეებს ბაძავენ?!
- საით აგზავნი, არ უნდა უთხრა?!

2

## ჯარი – პოლიტიკური მიზნების განხორციელების ინსტრუმენტი?!

### ოპოზიციური პარტიები საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე პროცესებზე კონტროლს სთხოვენ

საქართველოს პოლიტიკური პარტიები საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვენ, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება და დააწესონ კონტროლი და მონიტორინგი სამხედროების საქმეების გამოძიებასა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე შემაშფოთებელ პროცესებზე.

მიმართვა თავდაცვის სამინისტროსთან „რესპუბლიკელმა“ ირაკლი ბათიაშვილმა წაიკითხა. სამინისტროსთან იმყოფებოდნენ, აგრეთვე, „დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენლები დავით გამყრელიძე, თინა ხიდაშელი, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ეკა ბესელია, ლევან გაჩეჩილაძე, „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი ზვიად ძიძიგური.

როგორც პარტიების მიმართვაშია ნათქვამი, საზოგადოებაში უკიდურესად დაბალია ნდობა სამართალდამცავი და სასამართლო სისტემის მიმართ, ხოლო შეიარაღებულ ძალებზე საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლი, პრაქტიკულად, არ ხორციელდება.



2



3

რა ვაკეთეთ? რას ვუშვრებოდით?

## 9 აპრილიდან – 26 მაისამდე

## ობიექტურად შევაფასოთ დღევანდელი მოვლენების ზოგი მონაწილე



7

### ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან

**გოგი თოფაძე:**
(ბიზნესმენი)

– ურყევ წესად უნდა დავთქვათ, რომ არც ერთ ჩვენგანს თვალი არ გაექცეს მეორე ბიზნესმენის ქონებაზე, რომელსაც ხელისუფლება ძალადობრივად წაართმევს და აუქციონზე გამოიტანს.

(„მაესტრო“, 1 ივნისის „პროფესია ჟურნალისტი“).

## სადაც სამშობლოსთვის ნაომარ ოფიცრებს ბუზებივით ხოცავენ, ის რა ქვეყანაა?!

4

## მიმართვა

**(პირველი გვერდიდან)**

**2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ საქართველოს ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალების მიმართ მიზანმიმართული სადამსჯელო ღონისძიებების გატარება დაიწყო. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დისკრედიტებული წარმომადგენელი — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ბაჩო ახალაია. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ე. წ. მუხროვანის ამბოხი ხელისუფლებამ მას შემდეგ გაითამაშა, რაც საჯარისო ნაწილების პოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩართვა და საპროტესტოდ ქუჩაში გამოსული საზოგადოების წინააღმდეგ გამოყენება მოინდომა,** — ნათქვამია განცხადებაში და აღნიშნულია, რომ ე.წ. მუხროვანის ამბოხთან დაკავშირებით დაპატიმრებულია 32 ადამიანი.

## ჯარი — პოლიტიკური მიზნების განხორციელების ინსტრუმენტი?!

კერძოდ, განცხადების მიხედვით, პირველი ბრიგადის ყოფილი მეთაური, მაიორი დავით სულხანიშვილი გათავისუფლებულია გირაოთი; პოლკოვნიკი გია კრიალაშვილი, ყოფილი სამხედრო, მოკლულია ე.წ. სპეცოპერაციის დროს; კობა კობალაძე, გენერალ-მაიორი, ყოფილი სამხედრო, იმყოფება პატიმრობაში და შიმშილობს მიმდინარე წლის 7 მაისიდან; კახა კობაიძე, მაიორი, მესამე ბრიგადის ყოფილი მეთაური, იმყოფება პატიმრობაში; შოთა გორგიაშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი, მუხროვანის სატანკო ბატალიონის ყოფილი მეთაური, იმყოფება პატიმრობაში; ლევან ამირიძე, მაიორი, რეინჯერთა ბატალიონის ყოფილი მეთაური, დაჭრილია და იმყოფება პატიმრობაში; ზაზა მუშკუდიანი, მაიორი, რეინჯერთა შტაბის უფროსი, იმყოფება პატიმრობაში; კობა ოთანაძე, პოლკოვნიკი, დაჭრილია და იმყოფება პატიმრობაში; მათ გარდა დაპატიმრებულია ხსენებული ნაწილების რამოდენიმე ათეული სხვადასხვა სამხედრო ჩინის მოსამსახურე.

**ბევრი პროფესიონალი, დასავლურ სასწავლებლებში განათლებამიღებული სამხედრო არის დათხოვნილი შეიარაღებული ძალების რიგებიდან. საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი შეიარაღებულ ძალებში დაწყებულ რეპრესიებთან დაკავშირებით. ამას ხელი შეუწყო სამართალდამცავთა მხრიდან მოწოდებულმა არასრულყოფილმა ინფორმაციამ და ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულმა ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებმა.**

**არსებობს ეჭვი, რომ მიმდინარეობს მიზანმიმართული ნგრევა ჯარისა, რომლის ჩამოყალიბებაში ბოლო წლების განმავლობაში უზარმაზარი საბიუჯეტო სახსრები და პარტნიორი ქვეყნების სოლიდური დახმარება ჩაიდო,** აღნიშნულია მიმართვაში.

ამავე მიმართვის მიხედვით, შეიარაღებულ ძალებში შექმნილ რთულ სიტუაციაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება პრეზიდენტ სააკაშვილს, რომლისთვისაც ჯარი არა სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი, არამედ მისი პოლიტიკური მიზნების განხორციელების ინსტრუმენტია.

**ინტერპრესნიუსი**

## პოლიტწკიპურტები

# „მაგარი“ „დასლაბდა“ თუ „კუდს“ ვერ მალავენ?!

**შენობის ერთი ფლიგელი ღამით მოულოდნელად ჩამოინგრა. „რუსთავი-2“-ის ორი თანამშრომელი დაიღუპა, „ვარსკვლავთა აკადემიის“ პროექტის მონაწილენი კი სასწაულებრივ გადარჩნენ.**

**დაიზაფრა ქვეყანა.**

— ათ დღეში მაგიდაზე უნდა მედოს კომპეტენტური კომისიის დასკვნა ნგრევის გამომწვევი მიზეზების თაობაზეო! — მკაცრად მოითხოვა შემთხვევის ადგილზე მისულმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

მართლაც კომპეტენტურმა სპეციალისტებმა ტრაგედიის ადგილის დათვალიერებისთანავე თქვეს, რომ შენობა, რომელშიც თავის დროზე ზონალური სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტი იყო განთავსებული, ავარიული ვერ იქნებოდა და არც მხოლოდ მასში მიმდინარე კოსმეტიკური რემონტის გამო დაინგრეოდა, როგორც ამას ცხელ კვალზე ქალაქის მერი გიგი უგულავა ამტკიცებდაო.

თუმცა ეს, მართალია, მართლაც კომპეტენტურმა, მაგრამ სამთავრობო კომისიის წევრებმა კი არა, „მოხალისე“ კომპეტენტურმა სპეციალისტებმა თქვეს.

თანაც ისეთი კატეგორიულობით, ხელისუფლებას ნამდვილად რომ არ მოეწონებოდა!

ჰოდა, დარჩა კიდეც მათი ხმა ხმად მღაღადებლისად...

**იმ ავადსახსენებელი დღიდან კი სამჯერ ათ დღეზე მეტიც გავიდა, მაგრამ საზოგადოებისთვის უცნობია, დაიდო თუ არ პრეზიდენტის მიერ მკაცრი ტონით მოთხოვნილი დასკვნა მის მაგიდაზე, ან თუ დაიდო, როგორი შინაარსისა.**

**რა ხდება? „მაგარი“ მიშა „დასლაბდა“ და მავანნი უკვე მისი მოთხოვნის იგნორირებასაც ბედავენ, თუ „კუდის“ დამალვას ვერ ახერხე-**



**ბენ, ანუ შენობის დანგრევას მის სიძველე-ავარიულობას ვერ აბრალებენ და ვერც კეზერაშვილის მეუღლის სახელზე რიცხული კომპანიის მიერ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებისას დაშვებულ უხეშ შეცდომებს მალავენ?**

თუმცა მეც ვარ, რა!

ერთი შენობა კი არა, ლამის მთელი ქვეყანა დაინგრა, ერთი ნაგებობის ფლიგელი კი არა, მთელი ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი ნაწილი დავკარგეთ (ღმერთმა ქნას, რომ მხოლოდ ჯერჯერობით), მაგრამ აგო ვინმემ პასუხი ამისთვის?

**თუმცა რატომ და რისთვის უნდა აგოს ვინმემ პასუხი?**

**გამარჯვებულებს ხომ არ ასამართლებენ?**

**არ მკითხოთ ახლა, ვინ არის მერე გამარჯვებულიო!**

**ვინ და, ჩვენი ხელისუფლება!**

**თუ ჩემი არ გჯერათ, მიხეილ სააკაშვილს ჰკითხეთ!**

# ვეღარც „მეორეს“ ენდობი კაცი?!

**ახლა კიდევ ერთ ინციდენტზე, ოღონდ ნაკლებად „ხანდაზმულზე“ და, ამასთან დაკავშირებით, ქვეყნის მეორე პირზე (ნომინალურად მაინც) მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა.**

ამ ათიოდე დღის წინათ ტელეკომპანია „მაესტროს“ შენობის კარს უცნობმა პირებმა ხელყუმბარა ესროლეს.

ამჯერად, საბედნიეროდ, ყველაფერი უმსხვერპლოდ, მაესტროელთა შეშინებითღა დამთავრდა.

გამოძახებული პატრული მხოლოდ ორმოცი წუთის შემდეგ მოსულა (ყველამ ვნახეთ ტელევიზიით, როგორ გაექცნენ წერეთლის პროსპექტზე საპატრულო მანქანაში მსხდომი პოლიციელები სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს, რომელიც მათ ამაოდ სთხოვდა, წამომყევით, ასიოდ მეტრში „მაესტროს“ კარი ააფეთქესო(?!), კრიმინალისტები კი მხოლოდ ორი საათის შემდეგ(?!)!



**— აღმაშფოთებელი ფაქტიაო,** — თქვა ამასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ იმავე დღეს, — **მე თავად გავაკონტროლებ იმას, რომ ეს ინციდენტი ოპერატიულად იყოს გამოძიებული თუნდაც იმიტომ, რომ ზედმეტი მითქმა-მოთქმისა და საქმის პოლიტიზების საფუძველი მოისპოსო.**

კი თქვა, მაგრამ...

**ვერც სახელმწიფოს მეორე პირს (ნომინალურად მაინც) უნდა ენდო კაცი (ან, იქნებ, ცნება „ოპერატიულის“ მნიშვნელობა შეიცვალა)?**

იქნებ ეს — **უნდობლობა** — თვითონ ამ „მეორის“ ბრალია, რომელიც, არცთუ იშვიათად, რბილად თუ ვიტყვით, ატყუებს ხალხს?

მაგალითები?

კი, ბატონო, მხოლოდ ერთი, ერთ-ერთი ბოლოდროინდელი!

**ხომ გახსოვთ, როგორ მატროსოვივით გადაეფარა „ამბრაზურას“ ტელევიზიით გამოსვლისას, — არ ყოფილა სააკაშვილი ბოდრუმში, თბილისში მართავდა შეხვედრებს და ტელეფონითაც რამდენიმეჯერ ველაპარაკეო.**

ამის გამგონეს, **თანაც მანამდე ინტერნეტით მისი ნათქვამის საპირისპირო რამის მხილველს,** უნებლიეთ გახარებული სვანის შეძახილი გამახსენდა: რა კარგი რამეა, ეს მობილური ტელეფონი, რამდენჯერაც დავურეკე ჩემს ცოლს, სულ შინ დამხვდაო.

**კი, ვიცი, სულაც რომ არ არის იმ სვანივით გულუბრყვილო ჩვენი „მეორე“, მაგრამ თუ მას, თავის მხრივ, ჩვენი „პირველი“ ატყუებს — შინ ვარო, ამ დროს კი?!.**

ვაი ჩვენს პატრონს, უბედურს!

# პოლიციელები ურჩ მოსწავლეებს ბაძავენ?!

**ჩემს ბავშვობაში სკოლაში მოსწავლის ფორმით სიარული აუცილებელი იყო.**

**ამ რამდენიმე წლის წინათაც დააპირეს მისი დაკანონება „რეფორმირებული“ განათლების სამინისტროს მესვეურებმა, მაგრამ თანამედროვე მოსწავლეებმა იგი არ იგუეს და ახლა კვლავაც უფორმოდ დადიან — ჯინსები თუ ჭრელი „გამომწვეველი“ მაისურები არჩიეს.**



ბავშვები არიან და, შეიძლება გაუგო კაცმა.

**მაგრამ პოლიციელი შეიძლება დადიოდეს უფორმოდ? მით უფრო, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას (განსაკუთრებული, გამონაკლისი ოპერატიული შემთხვევების გარდა, ცხადია)?**

ამ რამდენიმე დღის წინათ კინოთეატრ „რუსთაველთან“ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ვამბობ ამას, როდესაც, ხელისუფალთა თქმით, პოლიციელები უცემიათ მომიტინგეებს და ორი კაცი დაუჭრიათ თურმე კიდეც.

ხელისუფალთა თქმით-მეთქი, ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ მათ პოლიციელის ფორმა არ ეცვათ, ხოლო თუ სამართალდამცავები იყვნენ, ეს სახეზე აშკარად არ ეწერათ.

იქნებ პროვოკატორები იყვნენ, არეულობის გამოსაწვევად მოგზავნილნი?

ჰოდა, საკადრისად დახვდნენ კიდეც!

**ნებისმიერის ცემა დაუშვებელია, პოლიციელისა — მით უფრო.**

**მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პოლიციელი პოლიციელს უნდა ჰგავდეს — ქცევითაც და ჩაცმულობითაც.**

მაგრამ ძალიან ხშირად ისინი ნაღდი პოლიციელებივით რომ არ იქცევიან, ამას „მაესტროსთან“ მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით მათი „ოპერატიულობა“ და „პასუხისმგებლობა“ მეტყველებს, ჩაცმულობაზე კი ვთქვით...

**ნათქვამია, სასაცილოა, ხანდაზმული კაცი ჭაბუკს ბაძავდეს ჩაცმულობით თუ ქცევითო.**

**ასევე არაბუნებრივია, პოლიციელები ურჩ მოსწავლეებს ბაძავდნენ... ჩაცმულობით.**

ერთიღაა საინტერესო: მათი „მასწავლებლებიც“ „რეფორმირებული“ სკოლის პედაგოგებივით უილაჯონი არიან თუ იციან, რას აკეთებენ?

# საით აგზავნი, არ უნდა უთხრა?!



**შეძახილმა ხე გაახმოო, ნათქვამია. თუმცა მუდამ და ყველგან რომ არ ხდება ასე, ამის დასტური ჩვენი დღევანდელობაცაა.**

სანამ გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოგვყრიდნენ იქ განთავსებულ რედაქციებს, ჩვენი შენობის სიახლოვეს, ჭოველიძის ქუჩის სიღრმეში, მუშაობდა სოროსის ფონდად ხმობილი ფონდი „ღია საქართველო“.

წლების განმავლობაში, ყოველდღე, ზუსტად ორ საათზე, ფონდთან იკრიბებოდნენ ზვიადისტები და იყო შეუჩერებელი სკანდირება — „წადი, წადი“!

კონკრეტულად კი არ ეუბნებოდნენ, სად უნდა წასულიყო წასასვლელი.

ამ ფონდის თავგაბეზრებული ხელმძღვანელი დავით დარჩიაშვილიც იძულებული გახდა, წასულიყო.

**წავიდა, ოღონდ საქართველოს პარლამენტში, სადაც ახლა ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარეა.**

...9 აპრილიდან კი ჯერ პარლამენტის შენობას შემოეწყვნენ მომიტინგენი, მერე — პრეზიდენტის რეზიდენციასაც „წადი, წადის“ ძახილით.

არც მისთვის მიუნიშნებია ვინმეს კონკრეტულად, სად წასულიყო.

**ისიც ადგა და წავიდა... რომში.**

**თანაც იქიდან შემოუთვალა ოპოზიციონერებს — რომ ტრაბახობთ, ეროვნული სტადიონი ავავსეთ ჩვენი მომხრეებით, დიდი ამბავი, ხომ ნახეთ, რომის რამხელა სტადიონი გადავჭედე ხალხითო!..**

ზემოთაც მოგახსენეთ, რომ შეძახილით შეიძლება მხოლოდ ხე გახმეს.

თანაც მხოლოდ შეიძლება!

**ამიტომაც არა მგონია, მარტო შეძახილით ჩვენი ამჟამინდელი პრეზიდენტი და ხელისუფლება „გახმეს“.**

**ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისკენ მოვუწოდებდე და ვუბიძგებდე, მაგრამ...**

**რუსლან რუსია**

№ 107. ოთხშაბათი, 3 ივნისი, 2009 წელი.

## ◉ 9 აპრილიდან – 26 მაისამდე

***9 აპრილის შემდეგ თვენახევარზე მეტია გასული. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეც, 26 მაისიც უკვე აღვნიშნეთ ხელში აყვანილი „უცნობის" სტადიონზე შეყვანით, შემდეგ კი რკინიგზის შედარებით ხანმოკლე გადაკეტვით, ხოლო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ცოტა ხნის წინათ ქართველ ხალხს საქონელი რომ უწოდა, მოგვევლინა ხალხის ინტერესების განუხრელად დამცველ, პოპულარულ და ბევრისათვის საყვარელ პოლიტიკოსად. დრო ამ წუთებსაც გადააქცევს მალე მოგონებად, ისევე, როგორც მოგონებად დაგვრჩა (ზოგისათვის ჰეროიკულ-რომანტიკულ, ხოლო ზოგისათვის მარაზმატულ მოგონებად) სამტრედიასთან 1991 წელს რკინიგზის გადაკეტვა კრემლის დაჩოქების მიზნით. მიუხედავად დასახულ მიზნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებისა (სად კრემლის მუხლებზე დაჩოქება და სად სააკაშვილის პრეზიდენტობიდან გადაყენება!), ამ მოვლენების შედარება მაინც საინტერესოა. ახლა, 26 მაისს, რკინიგზის გადაკეტვა თავიდანვე იმდენად აბსურდული გამოჩნდა ყველასათვის, რომ აქციაც სულ სამიოდე საათს გასტანა, ანუ გაცილებით უფრო მოკლე დროის შემდეგ დასრულდა, ვიდრე 18 წლის წინათ. ეკონომიკური ზარალიც (კონკრეტულად ამ აქციიდან მიღებული) გაცილებით ნაკლებია ჩვენი ერისათვის, ვიდრე მაშინ და ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ამ 18 წლის განმავლობაში ერმა საკმაოდ დიდი გზა გაიარა.***

# რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

***წესრიგი არ წარმოადგენს საზოგადოებაზე გარედან განხორციელებულ ზეწოლას. წესრიგი წონასწორობაა, რომელიც საზოგადოების შიგნით ყალიბდება.***

***ხოსე ორტეგა ი გასეტი***

საერთოდ, 9 აპრილიდან დღემდე ჩვენში განვითარებულმა მოვლენებმა მკვეთრად და რელიეფურად, თითქოსდა ძლიერი გამადიდებელი შუშის ქვეშ, გამოააშკარავა ერის წინაშე მდგარი პრობლემები. ვფიქრობ, ყველა პატიოსანი და საღად მოაზროვნე ადამიანისათვის საბოლოოდ ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ სააკაშვილის რეჟიმს არ გააჩნია არც პოლიტიკური ნება, არც რაიმე რესურსი, შეცვალოს თავისი ავტორიტარული და კორუმპირებული ბუნება და გადადგას რეალური ნაბიჯები მრავალჯერ დაპირებული დემოკრატიზაციის, დეცენტრალიზაციის, კანონის უზენაესობის დამკვიდრებისა და ა.შ. გზაზე. ანუ გააკეთოს ის, ან თუნდაც ნაწილი იმისა, რასაც 2008 წლის იანვრიდან მოყოლებული დღემდე რეგულარულად ჰპირდება სააკაშვილი და მისი რეჟიმი როგორც ქართველ ხალხს, ასევე დასავლეთელ მეგობრებსა და მოკავშირეებს (ასეთი მოქმედების კონკრეტული გეგმა გაწერილია, მათ შორის, შარშან აშშ-თან ხელმოწერილ ქარტიაში). ასეთი ნაბიჯები, მათი რეალურად და თვალსაჩინოდ გადადგმის შემთხვევაში, დიდად დააცხრობდა ხალხში არსებულ საპროტესტო მუხტს. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ლინკოლნ მიტჩელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითავისოს, რომ **დიალოგზე გამუდმებულ საუბრებზე გაცილებით უფრო ქმედითი იქნებოდა, სწორად ყოველგვარი დიალოგის ლოდინის გარეშე ასეთი ნაბიჯების გადადგმა.**

დავსვათ რიტორიკული კითხვა: რატომ ვერ დგამს ხელისუფლება ასეთ ნაბიჯებს? პასუხი მარტივია: **სადღეისოდ იმდენი უკანონობა და დანაშაული აქვს ჩადენილი ხელისუფლებას, იმხელა ფული და ქონება აქვს ხელში ჩაგდებული, რომ დემოკრატიზაციის, კანონიერების აღდგენის, ტელევიზიისათვის მეტი თავისუფლების მიცემის გზაზე რეალურად გადადგმული ნებისმიერი მცირე ნაბიჯიც კი მაშინვე გამოააშკარავებს რეჟიმის კრიმინალურ ბუნებას, მოითხოვს შემდეგი ნაბიჯების გადადგმას და დღის წესრიგში დააყენებს არა მარტო მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებებს (უშუალოდ მმართველ შვიდკაცაში და ა.შ.), არამედ ზოგიერთების (საკმაოდ ბევრის) პოლიტიკურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც. თვალსა და ხელს შუა დაიმსხვრევა რეჟიმის ხერხემალი, ხერხემალს სხვებიც მიყვებიან პრეზიდენტის თამადობით და ასრულდება პოლიციის ოპერმუშაკ „მასტერას" ზუსტი და ღრმა წინასწარმეტყველება.**

მკითხველს შევახსენებ, რომ 2007 წელს ტელეკომპანია „იმედმა" გადმოსცა ამ ოპერმუშაკის კანონიერ ქურდთან საუბრის სატელეფონო ჩანაწერი. საუბარში ოპერმუშაკმა ძირითადად უცენზურო სიტყვების მეშვეობით, მართლაც საოცრად ზუსტად აღწერა, რა ელით მათ ყველას (და მისი აზრით, მათ დედებსაც), თუ „პირველი" თავისი სკამიდან ჩამოვარდა, თუ დაიმსხვრა რეჟიმის „ხერხემალი" და ა.შ.

კონკრეტული მაგალითისათვის მკითხველს ვთავაზობ წარმოიდგინოს, რა მოჰყვება თუნდაც იმას, რომ ჩატარდეს დეტალური გამოძიება „მაესტროს" მიერ სულ რამდენიმე დღის წინათ ნაჩვენები ფაქტებისა. მხედველობაში მაქვს დოკუმენტური ფილმი, სადაც კონკრეტულად (გვარების, სახელების და მანქანების ნომრების ხსენებით) მოთხრობილია, თუ როგორ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ციხეში ყოფნის დროს გირგვლიანის დაღუპვაში დამნაშავე პოლიციელები და ის, თუ ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება დღის წესრიგში ამ ინფორმაციაზე რეალური რეაგირების შემთხვევაში.

**ამ ყველაფრის გამოა, რომ ხელისუფლება ვერ იწყებს რეალურ დემოკრატიზაციას და, ცდილობს რა საკუთარი ძალაუფლების ნებისმიერი საშუალებით შენარჩუნებას, მეტ უკანონობას ჩადის, რაც თავის მხრივ სულ უფრო მეტად უსპობს მას უკანდახევის გზას.**

ამავდროულად უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებითი ნაბიჯების გადადგმის უუნარობის ფონზე, რეჟიმმა, ტაქტიკის თვალსაზრისით, გაცილებით მეტი ორგანიზებულობა, ერთიანობა და გონივრულობა გამოიჩინა 9 აპრილის შემდეგ, ვიდრე რადიკალური (ქუჩის) ოპოზიციის ლიდერებმა. უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მმართველი შვიდკაცას წარმომადგენლის უგულავას განცხადებას იმის თაობაზე, რომ ოპოზიცია ვერ „წამოიკიდებს" ხელისუფლებას ძალადობაზე, რომ ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ მიართმევს ასეთ „ფუფუნებას" ოპოზიციას, რაც არ უნდა მოიმოქმედოს ამ უკანასკნელმა და რომ პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლება უარს აცხადებს 26 მაისს აღლუმის ჩატარებაზე.

ამ განცხადებამ დიდად დააცხრო ვითარება და გაანეიტრალა საკრალური თარიღის მოლოდინის სიმძაფრე (ქუჩის ოპოზიციის ლიდერების ნაწილს აშკარად სწამდა, რომ რეჟიმი ვერ იტყოდა უარს აღლუმზე და ხელისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლაც (მათი წარმოდგენით) შედგებოდა და მათი გამარჯვებით დასრულდებოდა. ამავე პერიოდში რეჟიმი ყოველდღიურად სინჯავდა იმას, თუ რამდენად შორს შეიძლება წასულიყო იგი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობრივი ხერხების (ცემის, დაშინების, რეჟიმის ენით რომ ვთქვათ, ე.წ. „დაჩმორების") გამოყენების გზაზე და უნდა აღინიშნოს, რომ აქაც რეჟიმმა გარკვეული მოქნილობა და თავდაჭერა გამოიჩინა, დასავლეთის ზეწოლასაც გაუწია ანგარიში და ამ ეტაპზე შესამჩნევად შეზღუდა ასეთი პრაქტიკა. თუმცა ცალკეული ეპიზოდები (აქ მთავარია უდავოდ პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი შეტაკებები, რომლის პირდაპირ ეთერში გადაცემამ არ გამოიწვია ხალხის მასობრივი პროტესტი) თითქოს ცხადყოფდნენ, რომ რეჟიმმა საკნებიც რომ აილოს და ჩაკეტილი გზებიც რომ გახსნას ძალის გამოყენებით, ესეც აღარ გამოიწვევდა ხალხის მასობრივ პროტესტს. რეჟიმის ამ ტაქტიკურ-ოპერატული გამარჯვების ფონზე განსაკუთრებულად მარაზმატულად გამოიყურება მუხროვანის ინციდენტისა და შპიონაჟის ბრალდებით პოლიტოლოგის დაპატიმრების გაპიარება.

**ხაზს გავუსვამ: არა ეს ფაქტები, არამედ მათი გაპიარება, მათი იდეოლოგიური აგორების მცდელობაა მარაზმატული.**

მნიშვნელოვანია და ნიშანდობლივი, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ეს მოვლენები რეჟიმის მორიგ პიარაქციად აღიქვა და სხვად არაფრად და ამით ფაქტობრივად სრული უნდობლობა გამოუცხადა რეჟიმს. ამ პიარაქციაში კი პირადად სააკაშვილის ხელწერა იგრძნობოდა. ეს იყო აშკარა (და სრულიად კონტრპროდუქტიული) მცდელობა საკუთარი იმიჯის გამოსწორებისა: ძლიერი ხელისუფლების ძლიერი და უშიშარი ხელმძღვანელი სწრაფი, ვაჟკაცური და ძლიერი მოქმედებით ჩანასახშივე აქრობს სამხედრო ამბოხის მცდელობას. ამავდროულად ეს იყო მცდელობა ხალხის განწყობის გადატანისა გარეშე მტერზე, ხოლო ქუჩის ოპოზიციის ლიდერების წარმოჩენა იმ გარეშე მტრის მიერ დაფინანსებულ და მართვად ძალად.

ეტყობა, გარემოცვამ ვერ შეაკავა ამ შემთხვევაში პრეზიდენტი, თუმცა პიარაქცია იმდენად უშედეგო აღმოჩნდა, რომ რეჟიმმა მალევე შეანელა ამ თემის ექსპლუატაცია. იმას, თუ რა მოხდა სინამდვილეში მუხროვანში და იმას, თუ ვის და რა ინფორმაციას გადასცემდა შპიონაჟში ბრალდებული პოლიტოლოგი, ალბათ მხოლოდ რეჟიმის შეცვლის შემდეგ გავიგებთ. დანამდვილებით კი იმის თქმა შეიძლება მხოლოდ, რომ მუხროვანის ინციდენტის გაპიარებამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. „რა საჭირო იყო ასეთი საჯარო აქციები? ეს ხომ საბოლოოდ ანგრევს თქვენი ქვეყნის იმიჯს! ხომ შეეძლო ხელისუფლებას ყველა ზომა უხმაუროდ მიეღო და შემდეგ აუცილებელი საჯარო ინფორმაციით შემოფარგლულიყო!" – გვეუბნებიან გულახდილ საუბრებში ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების წარმომადგენლები, ვისაც მართლა შესტკივა გული და უნდა, რომ დახმარება გაგვიწიოს.

„როგორ შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტმა შპიონად გამოაცხადოს ეჭვმიტანილი ადამიანი, გამოძიების დასრულებამდე და სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე? ეს ხომ უდანაშაულობის პრეზუმფციის აშკარა დარღვევაა და გამოძიებაზე და სასამართლოზე ზეწოლაა!" აგრძელებენ ისინი. შემდეგ კი ხვდებიან ქუჩის ოპოზიციის ლიდერებს, ცდილობენ გაერკვნენ მათ პოლიტიკურ გეგმებში და პროგრამებში და ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ მათი გაოგნება თვისობრივად ახალ საფეხურს აღწევს. თუმცა სათანადო გამოცდილებისა და ცოდნის მქონე ექსპერტებს არაფერი უკვირთ. მათ ესმით (ამ თემას ქართველ და უცხოელ მეცნიერთა არაერთი კვლევა მიეძღვნა), რომ ობიექტურ ისტორიულ მიზეზთა გამო საქართველოში საშუალო ფენა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ნამდვილი პროფკავშირული მოძრაობაც კი არ არის ჯერ დაწყებული ჩვენში. პოლიტიკური პარტიები (ამ ცნების ნორმალური გაგებით) საერთოდ არ არსებობს. მმართველი „პარტია", ანუ ნაციონალური მოძრაობა (რომელსაც ხალხი სულ უფრო ხშირად ნაცისტებს ეძახის) მთლიანად შერწყმულია სახელმწიფო (პირველ რიგში კი რეპრესიულ) აპარატთან. ხოლო ის დაჯგუფებები, პოლიტიკურ პარტიებად რომ არიან რეგისტრირებული და ცნობილი ჩვენში, სხვა არაფერია, თუ არა ერთი ან რამდენიმე ლიდერის გარშემო შემოკრებილი ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ცდილობს ნებისმიერი საშუალებითა და ხერხით თავისი ვიწრო ჯგუფური (კლანური) მიზნების მიღწევას.

დავაკონკრეტოთ ეს ვითარება: სახეზეა მმართველი რეჟიმი, რომელიც აკონტროლებს ქვეყნის მთელ ეკონომიკურ და ფინანსურ რესურსებს და რომელმაც სამართალდამცველი და ძალოვანი სტრუქტურები თავისი ძალაუფლების შენარჩუნების რეპრესიულ ინსტრუმენტად აქცია. რეჟიმის შიგნით გადაწყვეტილებებს ღებულობს (ან მიღებაზე რეალურ გავლენას ახდენს) სულ რამდენიმე ადამიანი, დანარჩენებს კი მხოლოდ უპირობო შესრულება ევალებათ, რაოდენ უკანონო არ უნდა იყოს „შვიდკაცას" მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

იხ. 5 გვ.

## ◉ პოზიცია

# მთავარი არის კონსტიტუცია, განსაცვიფრებლად არის მთავარი!

**რისთვის დამჭირდა ამ წერილის სათაურად პოეტის ცნობილი სტრიქონების პერიფრაზირება, ამას მკითხველი იოლად მიხვდება.**

**ადრეც ბევრჯერ დამიწერია და ახლაც გავიმეორებ: ქვეყნის კეთილდღეობას დაბალანსებული სახელისუფლებო სისტემა წყვეტს და ის, თუ რამდენად იქნება იგი დაცული, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციაზეა დამოკიდებული. უფრო მეტიც, ყველა ის უბედურება, რაც დღევანდელ საქართველოს სჭირს, სახელმწიფო ინსტიტუციების გაუმართავი მუშაობის ბრალია. და, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ეს სისტემა გაუმართავად იმუშავებს იმის მიუხედავად, ვინ იქნება მის სათავეში: ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი თუ დავით აღმაშენებელი...**

გამართული, დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნა არც ისე რთულია, როგორც ეს ბევრს ჰგონია, ჩვენი საპარლამენტო ოპოზიციის ჩათვლით. გავიხსენოთ მათი განცხადება, რომ ხელისუფლებამ ყველაზე გვიან დეკემბრისთვის უნდა წარმოადგინოს ცვლილებები კონსტიტუციაში შესატანად. ეს ფაქტი თვალნათლივ მიუთითებს, რომ საპარლამენტო ოპოზიცია ან მართლაც ხელისუფლების თამაშს თამაშობს (რაშიც მას სდებენ ბრალს) და დრო გაჰყავს, ან საერთოდ წარმოდგენა არა აქვს, საკონსტიტუციო ცვლილებები როგორ უნდა განხორციელდეს. არადა, ამაზე უამრავი ლიტერატურაა შექმნილი და დეტალების გასაგებად კარგ ბიბლიოთეკაზე შორს წასვლა არ არის საჭირო.

პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებობს მიმდინარეობა სახელად „ტრანზიციის კვლევა". მეცნიერების ამ დარგს მიეკუთვნებიან მკვლევარები, რომლებიც იმით არიან დაინტერესებულნი თუ რა ხდება და რა უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ავტორიტარული ანდა ტოტალიტარული რეჟიმი ემხობა და დემოკრატია იკიდებს ფეხს. მეცნიერები ტრანზიციის, ანუ არადემოკრატიული სისტემიდან დემოკრატიულზე გადასვლის პროცესს, სამ საფეხურად ჰყოფენ: **პირველი,** ცხადია, არადემოკრატიული რეჟიმის რღვევაა, რომელიც რამდენიმე თვე, ანდა, შეიძლება რამდენიმე წელიც გაგრძელდეს. **მეორე,** და ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, გახლავთ ინსტიტუციონალიზების, ანუ სახელმწიფო ინსტიტუციების ჩამოყალიბების ფაზა. **მესამეა** კონსოლიდაცია, ანუ ახლად შექმნილი ქვეყნის სტაბილიზაცია.

ტრანზიციის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მეორე ფაზა ყველაზე ხანმოკლეა და, როგორც წესი, რამდენიმე კვირა, ანდა ყველაზე დიდი ორი სამი თვე გრძელდება.

თუ საქართველოში მიმდინარე პროცესებს ამ მეცნიერული სისტემით გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ ჩვენმა ქვეყანამ სამჯერ სცადა ინსტიტუციონალიზების ფაზის გავლა და სამჯერვე კატასტროფული კრახი განიცადა. პირველად, სახელმწიფო ტოტალიტარული, ანუ საბჭოთა სისტემიდან სრულიად გაუგებარ წარმონაქმნად იქცა და ასე გააგრძელა არსებობა 1995 წლის 24 აგვისტომდე. ამ დღეს საქართველოში სათავე დაედო კიდევ ერთ ტრანზიციას და ჩვენ შედეგად დამახინჯებული ამერიკული კონსტიტუცია და ედუარდ შევარდნაძის ავტოკრატული მმართველობა მივიღეთ. შემდეგი ტრანზიცია საქარ-



თველომ 2004 წელს განიცადა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით. შედეგი არის არა კონსოლიდირებული დემოკრატია, არამედ კონსოლიდირებული ავტოკრატია.

იხ. 4 გვ.

პოზიცია

# მთავარი არის კონსტიტუცია, განსაცვიფრებლად არის მთავარი!

(მესამე გვერდიდან)

ამას, სავარაუდოდ, თავად მმართველი ელიტაც აღიარებს, თორემ ასეთი მასშტაბის კონსტიტუციურ რეფორმებს არ წამოიწყებდა.

ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ თუკი ხელისუფლება და საპარლამენტო ოპოზიცია მართლაც აპირებს ინსტიტუციურ ცვლილებებს. ამას ექვსი თვე არ სჭირდება. გაჭირვების ჟამს, სწორედ ისეთ დროს, როგორშიც ახლა ჩვენი ქვეყანაა, მონდომებული პოლიტიკოსები ყველაფერს რამდენიმე კვირაში, ანდა ორიოდე თვეში დაადგამდნენ თავს.

ნებისმიერი ქვეყნის გამართული კონსტიტუცია სულ ორ საკითხს განიხილავს: **პირველი** გახლავთ ის, თუ რა არის სახელმწიფოში მცხოვრები ხალხისა და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მიზნები და ამოცანები, და **მეორე** – როგორ აპირებს ხალხი და, აქედან გამომდინარე ხელისუფლება, მათ მიღწევასა და განხორციელებას. გაგიკვირდებათ, მაგრამ თანამედროვე ქართულ კონსტიტუციაში ყველაფერი წერია ამის მეტი და თუ რამე ამ საკითხებისადმი მონათესავე შეგხვდებათ, ისიც ისეა ფორმულირებული, რომ სისტემის გამართულად მუშაობას გამორიცხავს.

არადა, ყველაფერი გაცილებით მარტივად არის, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს: გამართული ქართული სახელმწიფოს ერთადერთი ფუნქცია მისი მოქალაქეების კეთილდღეობა და ამ კეთილდღეობის ზრდა უნდა იყოს. დრო, როდესაც ქვეყნებს გმირი მეფეები მართავდნენ, დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. საქართველოს სჭირდება არა გმირი პრეზიდენტი (სხვათა შორის, ახლაც ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლებოდა შეშინებოდა პრეზიდენტს გასულ ზაფხულს გორში, განა ის ადამიანი არ არის?), არამედ ნიჭიერი მენეჯერი, რომელიც გამართულ სისტემას ჭკვიანურად გაუძღვება.

პრობლემა ის არის, რომ ჩვენი ძირითადი კანონი ქვეყნის სათავეში ასეთ ნიჭიერ მმართველს კი არა, ღვთისგან მოვლენილ მხსნელს ხედავს, რომელსაც შეუძლია მთავრობის ყველა წევრის დანიშვნა, პრემიერ-მინისტრს ორ კვირაში ერთხელ შეცვლა, პარლამენტის ყოველთვიური დათხოვნა, კანონების წერა და ბრძანებულებების კანონად ქცევა, თბილისის მერის მაგივრად მერობა და სოფელ ორჭოსნის გამგებლის მაგივრად გამგებლობა, ცენტრალური ქუჩის დალაგება და ავტობუსის მართვა. რა თქმა უნდა, ამ ჩამონათვალში ბევრი რამ გადაჭარბებულია, მაგრამ გადაჭარბებულია იმიტომ, რომ მკითხველს ვაგრძნობინო, რაოდენ დარღვეულია კონსტიტუციის არსი ჩვენს ქვეყანაში.

ნორმალური დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია (საპრეზიდენტო მმართველობისას) პრეზიდენტსა და მთავრობას უკრძალავს ან ძალიან უზღუდავს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას. ეს ნაბიჯი ლოგიკურიც არის: ძალიან დიდია ცდუნება, ყველა ხელისუფლებამ საკუთარ თავზე მოირგოს ნებისმიერი კანონი და უფლებამოსილებას უსაზღვროდ გადააჭარბოს ისე, როგორც ეს დღევანდელ საქართველოში ხდება. საკანონმდებლო ორგანო ყველგან პარლამენტია და არა იუსტიციის სამინისტრო. ასე უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაშიც. პრეზიდენტსა და მთავრობას კანონების აღსრულება უნდა ევალებოდეს და არა მათი წერა და შემდეგ აღსრულება. ხელისუფლებისგან და, რაც მთავარია, პროკურორისგან დამოუკიდებელი სასამართლო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი დემოკრატიისთვის. საფუძვლად აქაც უმარტივესი პრინციპი გვაქვს: ხელისუფლება თავს იკავებს უკანონო გადაწყვეტილებების მიღებისგან, რადგანაც იცის, რომ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს და მისი აღსრულება შეაჩეროს. პროკურორს უნდა ეშინოდეს მოსამართლისა და არა პირიქით.

ახლა სჯობს, კონსტიტუციის აბსტრაქტულად ცვლილებებზე ლაპარაკს თავი დავანებოთ და ის საკითხი განვიხილოთ, თუ რა შეიძლება მომხდარიყო ან არ მომხდარიყო, ჩვენს ქვეყანას სტაბილური კონსტიტუციური სისტემა რომ ჰქონდეს.

**რატომ იქნებოდა ომის (თუნდაც გასული წლის აგვისტოს ომის) ალბათობა გაცილებით მცირე:**

პოლიტიკურ მეცნიერებაში ცნობილი აქსიომაა: დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთს არ ეომებიან. კი მაგრამ, შეიძლება ვიკითხოთ, ვთქვათ და საქართვცელოს მართლაც დემოკრატიული მმართველობის სისტემა ჰქონოდა, რუსეთი ხომ არ არის დემოკრატიული? იგი მაინც წამოიწყებდა ომს. ეს არგუმენტი მხოლოდ ერთი შეხედვით არის სწორი. თუ ერთი წამით მაინც დავუშვებთ, რომ საქართველოს უკვე 1991 წელს ჰქონოდა „ინსტიტუციონალიზებული" დემოკრატია, ყველაფერი სულ სხვანაირად შეიძლებოდა განვითარებულიყო: დემოკრატიული ქართული სახელმწიფო, ფაქტობრივად, ისეთივე ტემპით მოახერხებდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ წინსვლას, როგორც ეს ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებმა შეძლეს. საქართველო გაცილებით მეტად იქნებოდა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ჩართული და ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, ნატოს ოფიციალური წევრობაც მიეღო იმ წლებში, როცა რუსეთს წესიერად კავკასიისთვის კი არა, საკუთარი ოლიგარქებისთვის ვერ მიეხედა. ამას გარდა, ნებისმიერი ნორმალური ქვეყნის კონსტიტუცია უკვე დიდი ხნის მანძილზე მოაგვარებდა ანექსირებული მიწების საკითხს ლეგალურად. ძირითად კანონში განსაზღვრული იქნებოდა მათი ახლანდელი სტატუსი და მიწების დაბრუნების სამომავლო სტრატეგია. დამატებით, ჩრდილოეთ მეზობელს ხელიდან გამოეცლებოდა მარადიული არგუმენტი, რომ ქართულ სახელმწიფოს არჩევნების გაყალბების გზით მოსული ელიტა მართავს, რადგანაც ნებისმიერი დემოკრატიული სისტემა არჩევნების გაყალბებას გამორიცხავს. და კიდევ, ძლიერი პარლამენტი უკეთ გააკონტროლებდა ძლიერი პრეზიდენტის მოქმედებებს.საქართველოს ხელისუფლება გაცილებით დიდხანს იფიქრებდა როგორი პასუხი გაეცა რუსულ-ოსური პროვოკაციისთვის, პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობისა რომ შინებოდა.

**რატომ არ იქნებოდა სახიფათო ხელისუფლების სათავეში თუნდაც პრორუსული ძალების მოსვლა**

დღეს საქართველოში ძალიან ხშირად მოისმენთ არგუმენტს იმის შესახებ, რომ არჩევნების გაყალბება მიზანშეწონილია, თუკი ქვეყანაში არსებობს საფრთხე პრორუსული ძალების მოსვლისა. მართლაც, დღევანდელ საქართველოში ასეთი რამ ქვეყნის, როგორც სუვერენული წარმონაქმნის დასასრული იქნებოდა. მაგრამ არა იმ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანას კარგად ჩამოყალიბებული ინსტიტუციები რომ ჰქონოდა.

დავიწყოთ იმით, რომ უაღრესად საეჭვოა, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში კარგად ინტეგრირებულ ქვეყანას პრორუსული ძალები დაუფლებოდნენ. მაგრამ ასეც რომ მომხდარიყო და, ვთქვათ, საქართველოს პრეზიდენტს ჩვენი ქვეყნის რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაცია განეზრახა, ამას ქართული პარლამენტი არ დაუშვებდა და პრეზიდენტს **იმპიჩმენტის** გზით თავიდან მოიცილებდა. და თუკი ქართული პარლამენტის გარკვეული ნაწილი იგივეს გაკეთებას მოინდომებდა, მაშინ არაკონსტიტუციურ გადაწყვეტილებას ან დამოუკიდებელი სასამართლო გააუქმებდა, ან პრეზიდენტი ახალ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავდა.

**რატომ არ იქნებოდა დღეს რუსთაველის გამზირი „გალიებით" გადაჭედილი**

ამ კითხვაზე პასუხი ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შემდეგ ძალიან მარტივია:

ოპოზიცია ველარ დააყვედრებდა ხელისუფლებას, რომ იგი არჩევნებს აყალბებს და ნებისმიერ დროს ექნებოდა შესაძლებლობა, მთელი მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა, როგორ უყვარს იგი ქართველ ხალხს და რამდენად უკეთ შეუძლია ქვეყნის მართვა.

**რატომ არ იქნებოდა საქართველოში ისეთი სიდუხჭირე, როგორიც დღეს არის**

გაეროს სტატისტიკის თანახმად საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობს, ანუ ყოველდღე ლუკმაპურის მოსაპოვებლად იბრძვის. გამართული, დემოკრატიული კონსტიტუციის არსებობის შემთხვევაში ასეთი რამ წარმოუდგენელი იქნებოდა. გავიხსენოთ, ძირითადი კანონით ხელისუფლების უმთავრესი მიზანი ხალხის კეთილდღეობაა. ხელისუფლების პრიორიტეტები ასეთ დროს რადიკალურად შეიცვლებოდა: გამართული სოციალური სისტემის შექმნა ნებისმიერი მთავრობის უმთავრესი ამოცანა იქნებოდა და საბიუჯეტო შემოსავლებიც საბოლოო ჯამში რუსი ჯარისკაცის ხელში მოქცეული იარაღის შესყიდვაზე კი არა, ქართველი ბავშვის გამოკვებისა და სათანადოდ აღზრდისთვის დაიხარჯებოდა.

* * *

ჩემი სტატიების უმეტესობა საქართველოში ინსტიტუციური ცვლილებების აუცილებლობას უტრიალებს უკვე 2004 წლიდან მოყოლებული. შესაძლოა, ზოგიერთ მკითხველს თავიც მოვაბეზრე. თუმცა თავის მობეზრებაც ერთი ძველი რომაული პოლიტიკური ხერხია, რომელსაც ყველაზე წარმატებულად სახელგანთქმული რომაელი სენატორი კატონ უფროსი იყენებდა. მოგეხსენებათ, რა თემაზეც უნდა წარმოეთქვა მას სიტყვა რომის საკანონმდებლო, და არა მარტო საკანონმდებლო, ორგანოში, დასასრულისას ამატებდა: **„Ceterum censeo Carthaginem esse delendam"** – „თუმცა ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს".

თავისი დაჟინებით მან მოახერხა კართაგენის წინააღმდეგ მესამე პუნიკური ომის წამოწყება, რომელსაც შედეგად საძულველი კონკურენტის საბოლოო ანექსია მოჰყვა. ამ წერილის ავტორს ბევრი უკლია კატონობამდე ისევე, როგორც საქართველოს რომაულ იმპერიამდე. მაგრამ თუკი აქ დაწერილით კიდევ ერთი ძალიან მცირე ნაბიჯი მაინც გადაიდგა ქვეყნის განვითარებისკენ, მაშინ ჩემი ცდა გარჯად ღირებულა.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის კრიზისიდან გამოსავალი სასწრაფო ინსტიტუციური ცვლილებებია.





**სულხან მეტრეველი,**
ციურიხის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციებისა და მედიის კვლევის ინსტიტუტის დოქტორანტი, შვეიცარიის კონიუნქტურის კვლევის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

ძახილი

# სადაც სამშობლოსთვის ნაომარ ოფიცრებს ბუზებივით ხოცავენ, ის რა ქვეყანაა?!

**ბიძა მყავდა გენერალი – კირილე ჯახუა, ამერიკისა და ინგლისის სამი ორდენის კავალერი. საბჭოთა კავშირის ორდენებს მისი მკერდი ვერ იტევდა. ტანად პატარა კი იყო, მაგრამ შემართება და ვაჟკაცობა ჰქონდა რაინდული.**

როდესაც თბილისის სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, შორეულ ციმბირში გაუმწესებიათ. მთელ იმ არმიაში მარტო ის ყოფილა ქართველი. აქ სასწავლი და ყურადსაღები ისაა, რომ იმ უცხოობაში ეს ქართველი კაცი ისე დაწინაურდა (დაიმსახურებდა, თორემ ვინ გაუწევდა პროტექტორობას), გენერლობასაც მიაღწია. სტალინგრადის ბრძოლების დროს ჰიტლერის რჩეული ფელდმარშალი ვერა, მაგრამ მისი ადიუტანტები კი შეიპყრო.

მახსოვს, ომის დამთავრების შემდეგ თავის მშობლიურ სოფელ ჯოლევში დედ-მამის მოსანახულებლად რომ ჩამოვიდა, ათამდე პოლკოვნიკის ჩინისა და სხვა რანგის ოფიცერი ახლდა დამცველად, თუმცა იქ რაღა საფრთხე უნდა ჰქონოდა. უბრალოდ, ასე გამოხატავდნენ პატივისცემას მისი დამსახურებების მიმართ. გაოგნებული და გაოცებული მამამისი სულ გაიძახოდა, ბიჯო, ბიჯო, ეს რა შვილი გამიზრდია სამშობლოსთვისო.

მამამისმა კოჭო ჯახუამ წერა-კითხვაც კი არ იცოდა და მაშინ ეს დიდ საოცრებას არც წარმოადგენდა. იმის თქმა მინდა, თუ როგორ უფრთხილდებოდა თავის გენერლებს მაშინდელი ხელისუფლება. დიახაც, იცოდნენ გენერლების ფასი, მითუმეტეს, ბრძოლასა და ვაჟკაცობაში გამოცდილების. ჩვენთან კი რა ხდება?! მხედართმთავრები ხეზე ფოთლებივით ხომ არ ასხია.

სამაჩაბლოში ნაბრძოლი, სამშობლოს მაღალი ჯილდოებით მკერდდამშვენებული გენერალი კობალაძე დაიჭირეს, სამშობლოდან დიდი ხნის წინათ გადახვეწილი გენერალ-ლეიტენანტი ფირცხალაიშვილი შეთქმულების ლიდერად დაასახელეს, გენერალ ყარყარაშვილსაც ყოველმხრივ ჩირქის მოცხება დაუპირეს... ზოგი დაიჭირეს და დაჭრეს, თითქოს ამ ქვეყნის შვილები კი არ ყოფილიყვნენ, ვიღაც გადამთიელნი, თითქოს ქართველ დედებსა და ცოლებს კი არ ეტკინებოდათ მათი სიმწარე, ვიღაც დუშმანსა და ზღვისიქითელს. ხოლო პოლკოვნიკი გია კრიალაშვილი საეჭვო ვითარებაში მოკლეს და ვითომც არაფერი! აგვისტოს ომში ნაომარი ვაჟკაცი ჯარისკაცები პიონერებივით ჩაამწკრივეს, წინ თითები დაუტრიალა იმ ომით დამფრთხალმა პრეზიდენტმა. თანაც უფროსი პიონერხელმძღვანელივით ისე მოძღვრავდა, ამას ყვარყვარეობაში გაწაფული მავანიც რომ არ იკადრებდა.

ან რა ხდება მრავალათასიან მიტინგებზე? პარლამენტის წინ თუ სხვაგან რომ იკრიბებიან და სამართალს ეძიებენ, ამის შესახებ ხმას არავინ იღებს. ოპოზიციის ხელმძღვანელები, იმის შიშით, თანამონაწილეობა არ დაგვაბრალონო, ჯარში დატრიალებულ უკანონობაზე სიტყვის დასველებასაც ვერ ბედავენ. ზვიად ძიძიგურმა და კიდევ რამდენიმე ლიდერმა კი თქვა, მაგრამ...

ხალხი კი ყრუდ გმინავს, ეს რა ხდებაო, მაგრამ ხალხს წინამძღოლი სჭირდება. ასე უხმოდ ვიხარშებით ბოლმაში, მომავალს შიშით შევყურებთ, ვერ გაგვიგია, ხვალ თუ ზეგ რა მოხდება, კიდევ რა არანორმალურ მუტანტად გადაიქცევა სამშობლოს ცაზე მოკალათებული ურჩხული. არადა, ყველამ იცის, ამ ხელისუფლების ხელში საქართველოს მიწა-წყალი სხვებს დარჩებათ, ერი გაქრება და ამას დიდი დროც არ სჭირდება.

ხალხო და ჯამაათო, ვუშველოთ ქვეყანას! დღეს თუ არ გავწირეთ თავი სამშობლოსათვის, ხვალ გვიან იქნება. ნუთუ იმიტომ მოვედით ამ ჟამამდე, რომ დღეს ასე ულმერთოდ გავქრეთ?!

**და თუ ეს არ გვინდა, თუ გვსურს, ჩვენს შვილებს, თაობებს არ დავუკარგოთ მომავალი, უნდა დავიცვათ ახლა, ამ წუთში სამშობლოს ჯარისკაცები, გენერლები და რიგითები. განა ერის სირცხვილი არ არის, ქვეყანაში რაღაც ორ მილიონამდე დარჩენილ ქართველებს 25 ათასი პატიმარი ჰყავდეს საპყრობილეში?! ეს ხომ ხელისუფლების სისუსტეა. ეს ხელისუფლება კი ჩვენი სისუსტე და სირცხვილია!**

**გივი ჯახუა**

## გლობუსი

# რევოლუციის ბელადი

1991 წლის დეკემბერში, კომუნისტური ბლოკის წინამძღოლმა ვეღარ გაუძლო მრავალწლიან გარე შემოტევას, შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ აშლილობას და პოზიციები დათმო. ასე დასრულდა თითქმის საუკუნოვანი იდეოლოგიური ომი კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკებს შორის, რომელშიც პოლიტიკოსებთან ერთად ჩართული იყვნენ მეცნიერები, სწავლულები, ცნობილი ავტორიტეტები. ისინი თავიანთ სამეცნიერო შრომებსა და წიგნებში ამტკიცებდნენ საკუთარი იდეოლოგიის პრიორიტეტულობას, სამართლიანობას, მიიჩნევდნენ რა მას კეთილდღეობისა და საყოველთაო წარმატების მოტანის ერთადერთ გზად. ორივე ცდილობდა საკუთარი სიმართლის დამტკიცებას, თუმცა ორი სიმართლის თანაცხოვრება წარმოუდგენელი იყო. ორივე მათგანს აკლდა ცხოვრებისათვის საჭირო კომპონენტი, თუმცა, მიუხედავად ამისა, ორივე მათგანმა მეცნიერთა წყალობით უდიდესი წვლილი შეიტანა კაცობრიობის პროგრესის საქმეში.

თანამედროვე სამყარო, მიუხედავად კომუნისტური იდეოლოგიის მეორე პლანზე გადაწევისა, რელიგიურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით ისეთივე გაყოფილია, როგორც 18 წლის წინათ. ბრძოლა მსოფლიო ლიდერობის შენარჩუნებისათვის, ერთი სახელმწიფოს დომინირება, მით უმეტეს ჟანდარმობა, თავისთავად იწვევდა და იწვევს სხვათა მხრიდან წინააღმდეგობას.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლურ ცივილიზაციას ნაკლოვანებანი და სისუსტეები ღირსებაზე ნაკლებად არ აქვს. მიუხედავად თავისუფლებისა, საკმარისობისა, რომელსაც საზოგადოების ცოდნა და კულტურა იძლევა, მიუხედავად ისტორიის ახალი გადაფურცლილი გვერდებისა, ადამიანის ბედნიერება არც გაზრდილა და არც შემცირებულა. არ შემცირებულა სოციალური ჭრილობებიც. „ტექნოლოგიამ და ინდუსტრიალიზაციამ ზენიტს მიაღწია, მაშინ, როდესაც მორალური და სულიერი ცხოვრება დაქვეითდა, მეცნიერების განვითარებასთან ერთად აზრთა სხვადასხვაობა იზრდება. დასავლეთი ნაკლებ ყურადღებას აქცევს სულიერ და მორალურ ფასეულობებს. მან თავი დახარა მანქანის წინაშე. ისინი, ვინც თაყვანს სცემენ მანქანას, არასდროს იქნებიან გახარებული. მეცნიერება თავს ახვევს ცხოვრებას წესს, რომელიც უზრუნველყოფს სიმდიდრეს, მაგრამ არა ბედნიერებას, ვინაიდან ბედნიერება მის კომპეტენციაში არ არის“ — წერს ირანელი მეცნიერი საიდ მოჯთაფა რუქნი მუსავი ლარი.

**ირანის ისლამური რევოლუცია, რომელიც გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს განხორციელდა, რიგით რევოლუციად ძნელად ჩაითვლება. მან გარკვეული ნაბიჯი გადადგა კაცობრიობის ისტორიაში არსებული, ზემოთ მოყვანილი პრობლემების ამოხსნისათვის. ირანის რევოლუციამ არა მარტო რეგიონი გამოაფხიზლა, არამედ მსოფლიო. ირანის რევოლუციამ დაარწმუნა საზოგადოება, რომ სამართლიანობისათვის ბრძოლას წინ ვერ აღუდგება ვერც მონარქიულ-დიქტატორული რეჟიმი, ვერც მისი მხარდამჭერი, სულისჩამდგმელი აშშ-ს ადმინისტრაცია, ვერც დასავლეთის მმართველი ძალები. ირანის რევოლუცია არა მარტო სახელმწიფოებრივი სისტემის ცვლა იყო, არამედ ახალი აზროვნების, ახალი ფასეულობების, წუთისოფლის ახლებურად აღქმის, ახალი სულიერი და მორალური ცხოვრების დასაწყისიც, რომელშიც რელიგიას განსაკუთრებული, ცხოვრების წარმმართველი ადგილი უკავია.** შემთხვევითობას არ შეიძლება მიეწეროს ამერიკელი პროფესორის უილიამ ბრაუნის სიტყვები „ძლიერი რელიგიური რწმენის კაცი, რომლის იდეებს დასავლეთი ყავლგასულსა და შუასაუკუნოებრივს უწოდებდა, შეძლო ის, რამაც შეაზანზარა მსოფლიო... ხომეინიმ გააქარწყლა დასავლეთის მტკიცება, რომ რელიგიას არ ძალუძს მართოს თანამედროვე საზოგადოება, დიდ სახელმწიფოებთან ბრძოლაში ის დაუპირისპირდა ვაშინგტონსა და მოსკოვს. მათ არ მისცა ირანის საქმეებში ჩარევის შესაძლებლობა და გაიმარჯვა. წუთისოფელი მან მაშინ დატოვა, როცა მარცხი აგემა თავის მტრებს“.



ირანის 25-საუკუნოვანი ისტორიის მქონე მონარქიის დამამხობელი, ირანის ისლამური რესპუბლიკის დამაარსებელი, მე-20 საუკუნის უდიდესი ირანელი რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწე, ირანის რევოლუციის ბელადი 1989 წლის 3 ივნისს, მთვარის ჰიჯრიით 1409 წლის 28 შაავალს შეერწყა უზენაეს სამყაროს. იმამ ხომეინის გარდაცვალებით მსოფლიომ დაკარგა მშვიდობისათვის თავდადებული მებრძოლი, ადამიანი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ისლამურ სამყაროზე, თავისი ცხოვრებით გამოაღვიძა მუსლიმანური სამყარო, ააღორძინა და სიდიადე შემატა მსოფლიოს ერთ-ერთ გავლენიან რელიგიას.

**89 წლის ასაკში შეუერთდა იმამი ხომეინი მარადისობას. მის მიერ დატოვებული ქვეყანა კი წარმატებით ართმევს თავს უდიდეს გამოწვევებს დასავლეთიდან, კერძოდ აშშ-დან, ისრაელიდან. თანამედროვე ირანი მძლავრი რეგიონული სახელმწიფოა. ის სამართლიანად ითხოვს მისდამი პატივისცემას, ისეთს, რასაც ის სხვებს მიაგებს.**

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ყოფნისას და ხალხთან საუბრისას თვალში გეცემათ იმამი ხომეინისადმი უდიდესი პატივისცემა, მოკრძალება, სიყვარული, მასზე ლაპარაკობენ, როგორც სულიერზე. მის შემოქმედებას მიმართავენ პერმანენტულად რჩევის მიღებისა და სულიერი სიმშვიდისათვის. იმამ ხომეინის შემოქმედება ფართო და მრავალმხრივია. მის კალამს არა მარტო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ნაშრომები ეკუთვნის, არამედ კულტუროლოგიური ნაშრომები, ფილოსოფიური გამოკვლევები სპარსული და არაბული ლიტერატურის მუსლიმანური ღვთისმეტყველების, რელიგიის, სამართლის, ფილოსოფიის, ეთიკის ისტორიის საკითხებზე. იმამი ხომეინის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ოთხ ათეულ ტომს მოიცავს. ფართოდაა ცნობილი ხომეინის პოეტური შემოქმედებაც. იმამ ხომეინის ლექსები ვახუშტი კოტეტიშვილის ძალისხმევით ქართულადაც არის ნათარგმნი.

**„გაზაფხულმა სიბერე სიჭაბუკედ მიქცია,**
**ჩემი სიხარულის ხემ ნაყოფი მოიწია.**
**კვლავ წალკოტში დავბრუნდი,**
**ვარდის ბუჩქს ჩავეხუტე,**
**ჩემს სატრფოსთან შეხვედრამ ქვეყნად**
**კვლავაც მიწია...**
**სამყაროს ნანგრევებში ვაით გამოზამთრებულს**
**სამგზავრო ბუკ-ნაღარამ მე ისევ მომიძია“...**

თეირანის მთებს შეფენილ სახლებში არის გამორჩეული, უბრალო, პატარა, ქვეყნის მბრძანებელთა რეზიდენციებისგან კარდინალურად განსხვავებული სამოთახიანი სახლი. შედარებით მოზრდილ ოთახში ტრადიციული სპარსული ხის ტახტი, ჯორკო და პატარა მაგიდაა. ამ ოთახში რევოლუციის ბელადი უცხო ქვეყნის სტუმრებს ღებულობდა. სწორედ ამ პატარა ოთახში ხვდა წილად საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. შევარდნაძეს იმამ ხომეინის მიერ მიღება.

**იმამ ხომეინის მოკრძალებული საცხოვრისი არცთუ შორს არის მწვანით დაბურული პარკიდან, ფეჰლევთა დინასტიის სასახლეებით და სასტუმრო სახლებით. 1979 წლის რევოლუციამდე ნიავორანის ნაკრძალის თვალით დანახული დანარჩენი ირანი ისეთივე თვალწარმტაცი იყო, როგორც ნაკრძალის სასახლეები. შაჰინ შაჰ მუჰამედ რეზა ფეჰლევის და მისი კარის ძვირადღირებული წვეულებების და უცხოური ვოიაჟების მიღმა სხვა ირანი არსებობდა. „ირანის ისლამური რევოლუცია იყო ერთდროული გამოხატვა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უკმაყოფილებისა, რომელიც აკუმულირებულია ათეული წლების მანძილზე“, — წერს ამერიკელი მეცნიერი ნიკ კედი.**

ირანის რევოლუცია მრავალი წლის განმავლობაში მწიფდებოდა. რევოლუციური ბრძოლის ჩამოყალიბების პროცესს სრულიად ახალგაზრდა ხომეინიმ დაუდო სათავე. 1941 წელს მან გამოსცა წიგნი, რომელშიც აღწერა რეზა შაჰის დანაშაულებრივი ქმედებები. წიგნში ავტორმა პირველად გაახმოვანა ისლამური ხელისუფლების აუცილებლობაზე და ამ მიზნის მისაღწევად აჯანყების მოწყობაზე. 1960 წლიდან იმამი ხომეინი ახალი ძალით შეუდგა შაჰის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას. მან ბევრი მიმდევარი შემოიკრიბა როგორც რევოლუციური, ისე საერო ფენებიდან. ხომეინის აქტიურობა დაპატიმრებით, ხოლო შემდეგ თურქეთში გადასახლებით დასრულდა. საზღვარგარეთ ყოფნის დროს ხომეინი აგრძელებს ურთიერთობას სამშობლოში დარჩენილ რევოლუციურ ძალებთან. ხომეინის აქტიურობით შეწუხებული თურქეთის ხელისუფლება იღებს თურქეთიდან ერაყში იმამის გადასახლების გადაწყვეტილებას. ერაყის ქალაქ ნაჯაფში ხომეინის კარგა ხანს მოუწია ყოფნა, მაგრამ ხელისუფალთა წყალობით იძულებული შეიქმნა ქუვეითს გამგზავრებულიყო, ქუვეითმა მგზნებარე რევოლუციონერი არ მიიღო და საზღვრიდან გამოაბრუნა, რის შემდეგ ხომეინი იძულებული გახდა პარიზში ჩასულიყო. პარიზის გარეუბანში დასახლებულ იმამს ელისეის სახლის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და გადასცეს საფრანგეთის პრეზიდენტის სურვილი თავი შეეკავებინა პოლიტიკური მოღვაწეობისაგან, რამაც უაღრესად აღაშფოთა ხეომეინი, — **„ასეთი აკრძალვები ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს, მას რომ გამუდმებით მოუწიოს საზღვრიდან-საზღვრამდე, ქვეყნიდან-ქვეყნამდე მოგზაურობა, ის არასდროს უღალატებს დაწყებულ საქმეს“,** — იყო იმამის პასუხი. იმამი ხომეინის მოწოდებებითა და დირექტივებით ირანის რევოლუციური ცხოვრება დუღდა. სისტემატური სახე მიიღო ანტიმონარქისტულმა დემონსტრაციებმა და მიტინგებმა. ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან დემონსტრანტთა ხოცვის ფაქტებს, რამაც საყოველთაო აღშფოთება გააასამაგა და რასაც მოჰყვა მოჰამედ რეზა შაჰის ირანიდან გაქცევა. 1979 წლის 12 თებერვალს, 14-წლიანი გადასახლების შემდეგ, იმამი ხომეინი თეირანში დაბრუნდა. ხუთ მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში რევოლუციის ბელადის შესახვედრად.

ირანის რევოლუცია ამით არ დამთავრებულა. ის დღესაც გრძელდება, ხომეინის საქმის გამგრძელებლები პირნათლად ასრულებენ იმამის ანდერძს: **„ყველა იმათ, ვინც იღვწის გაჭირვებულთა საკეთილდღეოდ, ვუზარებ, რომ ამქვეყნიური და იმქვეყნიური სიკეთე იმათი ხვედრია, ვინც ზრუნავს საზოგადოების ღარიბ და უმწეო ფენებზე, სიდუხჭირესა და ტანჯვა-წამებაში რომ იმყოფებოდა შაჰის დესპოტური რეჟიმის დროს და რაოდენ შესანიშნავი იქნება, თუკი მდიდარი და შეძლებული ფენების წარმომადგენლები ნებაყოფლობით უზრუნველყოფენ ღარიბ-ღატაკ და მიუსაფარ ადამიანებს სათანადო საბინაო პირობებით... უსამართლობაა, რომ ერთი ადამიანი უსახლკარო იყოს, მეორე კი ვილებსა და აპარტამენტებს ფლობდეს.“**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

## 9 აპრილიდან — 26 მაისამდე

(მესამე გვერდიდან)

# რა ვაკეთეთ? რას ვუფრებოდით?

არსებობს რეჟიმის მიერ დაფინანსებული და მართული რამდენიმე „ოპოზიციური“ პარტია, რომელზეც მმართველი შვიდკაცას ზოგიერთი წარმომადგენელი გარკვეულ იმედებს ამყარებს სამომავლოდ თავისათვის, ვინაიდან ესმით, რომ სააკაშვილთან ერთად მათი მომავალი შეიძლება მხოლოდ კატასტროფული იყოს (ნეტა ისიც თუ ესმით, რომ მათი „იმედები“ თხასავით გაყიდიან მათ, როგორც კი დაინახავენ, რომ ეს მომგებიანი გახდა?ძ.

**ასევე არსებობს რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც კარგა ხანია ხელისუფლების დაშანტაჟებით ირჩენს თავს და ებრძვის ხელისუფლებას მანამდე, ვიდრე ხელისუფლება არ გადაუხდის იმდენს, რომ გარკვეული დროით გააჩეროს ისინი.**

დაბოლოს, არის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი რამდენიმე მდიდარი ადამიანი (კლანიძ, ვისაც თვითონ უნდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება (როგორც ჩვენში იტყვიან, თავის ყველაფრიანადძ და ამისათვის შექმნა პარტიები და ებრძვის ხელისუფლებას. ყველა ეს პარტია ცდილობს ნებისმიერი ხერხით, რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი გაიჩინოს.

დაკვირვებული მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ჩამოთვლილი მოტივაციები ამომწურავად ხსნის ჩვენში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს (თუნდაც ერთ ლიდერზე შეთანხმების შეუძლებლობას და მთლიანად რადიკალური ოპოზიციის ახლანდელი რღვევის პროცესსძ. მკითხველს იმასაც ვპირდებით, რომ ეს სქემა მომავლის საკმაოდ ზუსტ პროგნოზირების საშუალებას მოგვცემს. ხოლო მძიმე სურათით შეწუხებულ მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს ყველაფერი აუცილებლად გასავლელი ეტაპებია და ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში მაკროდონეზე ისეთი არაფერი მომხდარა, რაც არ ხდებოდა თავის დროზე მრავალ ქვეყანაში და რაც არ არის დეტალურად აღწერილი და შესწავლილი.

მთავარი და გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, ჩვენი ხალხის განწყობაა. სააკაშვილს და მის რეჟიმს დღეს ძალიან ცოტა ჰყავს გულწრფელი და უანგარო მომხრე. **რეჟიმს ძირითადად ისინი ემხრობიან, ვისი დღევანდელი კეთილდღეობა უშუალოდ ან ირიბად მაინც დაკავშირებულია რეჟიმთან. ესენი არიან სამთავრობო და ზოგადად საბიუჯეტო სტრუქტურებში მომუშავე, შედარებით მაღალი ანაზღაურების მქონე ადამიანები, და იმ კერძო სტრუქტურებში მომუშავენი, რომლებიც საიმედოდ დაცულია რეჟიმის მიერ.** ნიშანდობლივა, რომ ბევრი მათგანი დღეს პირად საუბრებში თავს იკავებს რეჟიმის მხარდაჭერისაგან (რაც რეჟიმის არაპოპულარობის ძლიერი ინდიკატორიაძ და შემოიფარგლება მხოლოდ იმის კონსტატაციით, რომ არეულობა კარგს არაფერს მოუტანს ქვეყანას. ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის კი ეკონომიკური ინტერესები, პირველ რიგში სტაბილური შემოსავლის მომტანი სამუშაო ადგილები, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე რაიმე შესაძლო პოლიტიკური ცვლილებები. საქმე ისაა, რომ ბოლო წლებში შეძენილი გამოცდილებიდან გამომდინარე, ადამიანები ვერ აკავშირებენ რეჟიმის შესაძლებელ ცვლილებას ეკონომიკურ გაუმჯობესებასთან. ჯერჯერობით ოპოზიციის ვერც ერთმა ლიდერმა ვერ დაარწმუნა ხალხი, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლით, ხალხის ცხოვრების მატერიალური დონე გაიზრდება. ქუჩის ოპოზიციის ქცევამ ბევრი გააწბილა კიდევაც. „ეს ოპოზიცია ისე იქცევა, თითქოს უნდათ დაგვარწმუნონ „ჩვენს მოსვლას ისევ მიშას ყოფნა გერჩივნოთო“ — აი ასეთი შეფასება მოვისმინე ამ პერიოდში ხელისუფლებისადმი ანტაგონისტურად განწყობილი ბევრი ადამიანისაგან. ამას გარდა, ადამიანები აცნობიერებენ, რომ სააკაშვილი და მისი რეჟიმი უსისხლოდ არ წავლენ („ეგ იმისთანა გიჟია, ცოლ-შვილს დახოცავს და სკამს არ დათმობს“ — აი კიდევ ერთი მოარული ფრაზაძ, ხოლო სისხლის დაღვრა დიდი ტრაგედია იქნება, რომელიც მხოლოდ უკან გადაისვრის ქვეყანას.ამ ფონზე ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში უარესდება და ეს გაუარესება ბევრად უფრო მეტად რეჟიმის არასწორი პოლიტიკით და მართვით არის განპირობებული, ვიდრე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით. ამ გზაზე გარდაუვალია მნიშვნელოვანი დეფიციტი ბიუჯეტში და თუ ხელისუფლებამ ვერ შესძლო უკვე დაგვიანებული სწორი ზომების მიღება (ჯერჯერობით კი ამის არავითარი ნიშნები არ ჩანსძ, საქმე შეიძლება სოციალურ აფეთქებამდეც მივიდეს თავისი ყველა სავალალო შედეგით.

**„ვერავინ უარყოფს იმას, რომ საზოგადოება, რომელშიც ძალაუფლება მდიდარი ადამიანების ხელშია, იმ საზოგადოებას მაინც ჯობია, რომელშიც მხოლოდ ისინი შეიძლება გამდიდრდნენ, ვის ხელშიც არის ძალაუფლება“** — ამბობს მეოცე საუკუნის გამოჩენილი ეკონომისტი და მოაზროვნე ფრიდრიჰ ავგუსტ ფონ ჰაიეკი. საქართველოში ხელისუფლებაში ყოფნა (ამა თუ იმ ფორმით ხელისუფლებასთან შერწყმაძ, ჯერ კიდევ ერთადერთი საშუალებაა გამდიდრებისა და მოხვეჭილი ფულის და ქონების (ბიზნესისძ დაცვისა. ჩვენ საკმაოდ გრძელი გზა უნდა გავიაროთ, ვიდრე ხელისუფლების სათავეში კანონიერი გზით ძირითადად შეძლებული ადამიანები მოვლენ, მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნა აღარ იქნება გამდიდრების საშუალება და პოლიციურ რეჟიმს საზოგადოების წიაღში ჩამოყალიბებული წესრიგი შეცვლის.

**საულ ქერაძე**

მწარე ლუკმა

# „ელიტა“ და „მაიმუნები“...

## პასუხი ბატონ შალვა ნათელაშვილს



**ბ-ნ შალვა ნათელაშვილის ინტერვიუს, რომელიც ამა წლის 20 მარტის „საქართველოს რესპუბლიკიდან“ ამერიკაში გამომავალმა ქართულ-რუსულმა გაზეთმა „დავითის ფარმაც“ გადაბეჭდა, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამას ისიც დაემატა, რომ ბ-ნ შალვას ამ გაზეთის რედაქტორისთვის სიმონ კრიხელისთვისაც იგივე უთქვამს ამერიკაში მყოფ ქართველთა „არასაიმედობის“ შესახებ. ამ სიტყვებმა ბევრი გააკვირვა, ბევრს გული ატკინა, ბევრი გააბრაზა, ბევრმა მხრები აიჩეჩა და ხელი ჩაიქნია, ბევრი დააფიქრა... შევეცადე ქაღალდზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერის დასკვნებზე სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანების ის რეაქციები გადმომეტანა, რომლებიც ზოგადად გამოხატავენ იმ გულისტკივილსა და აღშფოთებას, ამ ორი თვის განმავლობაში ლამის ყოველდღე უცნობ-ნაცნობებისგან რომ ვისმენდი.**

**ნინო ბალანჩივაძე** – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ ჩემზე ძალიან იმოქმედა და ამიტომ მინდა ბატონ შალვა ნათელაშვილს ვუპასუხო: ერთი ანდაზისა არ იყოს, „მაძღარ მღვდელს დიაკვანიც მაძღარი ეგონაო“... ათეულ წელზე მეტია საქართველოში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გამო ქართველმა საკუთარი ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში წასვლა გადაწყვიტა. ჯანსაღი ემიგრაცია ყველა ერსა ჰყავს და იგი აუცილებლად ნეგატიური მოვლენა არ არის, მაგრამ ჩვენს სიჯანსაღეზე რა მოგახსენოთ?.. ჩვენ პურის ფულის მშოვნელთა დარდიან ქარავანს გამოვყევით საქართველოდან, რათა ოჯახები შიმშილისგან გადაგვერჩინა. გადის წლები და უკან ვერ ვბრუნდებით სწორედ იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც დავტოვეთ სამშობლო, ოჯახი... ჩვენ უკან დაბრუნება გვინდა, ისევ ქალის, დედისა და პროფესიონალის ადგილი გვინდა დავიკავოთ, მაგრამ არ იქნა და არ დასრულდა გაუთავებელი დავა, ვერ იქნა და ვერ დაინახეს თანხმობის გზები და ვერ გაიყავით რაღაც. სირცხვილია, ხალხო, რას სჩადით?!.. მტრის საჭიროებად გადააქციეთ მთელი საქართველო და დღეს ის გვადევს, რასაც ვიმსახურებთ. ლომის გალიაში ხელს რომ შეჰყოფს კაცი და მხეცი ხელს მოაჭამს, ლომზე უნდა გაბრაზდე? ელდავართ და რუსეთზე ვბრაზობთ... კარგად ჩაიხედეთ ყველამ საკუთარ სინდისში და ჰკითხეთ – თითოეული თქვენგანი რამდენად დარდობს საქართველოზე და მის ბედ-იღბალზე? ჩვენ რაღა დაგვრჩენია, ამ გადახვეწილმა ხალხმა, რისთვის არ ვიომებთ სამშობლოში? საინტერესოა, ჩვენი ოჯახებისთვის შიმშილით რომ დაიხოცეცით, მოსაგებს უფრო მოიგებთ?

ბატონო შალვა, საქმე ის კი არაა, სად გძინავს კაცს, არამედ ის – რომ გაიღვიძებ, რას და როგორ აკეთებ ადამიანი. სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა. ჩვენ დღე და ღამე ვმუშაობთ კაპიკების მოსაგროვებლად, თქვენ და თქვენისთანებს კი ერთმანეთის ლანძღვით ეგახება ტყვია გაქვთ გადამკვრელი. ჩვენ ვინა ვართ: „საალოებები“, „ჟღუარდოვები“ თუ „ზეიდლებები“, ეს თქვენი საქმე და გასარჩევი არაა! თქვენ თქვენს კალთაზე და ნამუშევარზე აგეთ პასუხი. ტრიბუნიდან არამეცნოთ ავინებენ და ამით გინდათ პარტიის რეიტინგი გაზარდოთ?!.

2001 წელს ჟურნალისტი ნუგზარ სურაფინელი ამერიკაში ბრძანდებოდა. უკან დაბრუნებულმა კი გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (2001 წლის სექტემბერის ნომერია), ქართველ ემიგრანტ ქალთა 90 პროცენტი სტრიპტიზ-ბარების გოგოებზე მეტრიალებსო. გამოდის, რომ ისინი სწორედ იქ დაუთვლია. გველის ნაკბენივით ახსოვს ეს წერილი ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს. რას გვერჩით? რა დაგიშავეთ? რა გინდათ? ალბათ, უჩვენოდაც უკეთესად ხართ. გათითოკაცებული ერი გირჩევნიათ, ამღვრეულ წყალში უფრო კარგად თევზაობთ. „ვაი ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო“...

**ლალი სამხარაძე** – ადამიანს, რომელიც შრომის პარტიის ხელმძღვანელია და ფიქციური პარლამენტარობით უშრომელ შემოსავლს იღებს, არა რცხვენია, მაიმუნობას რომ გვწამებს? რა შრომაში ვართ, როგორ ვართ, აბა, ვინ იცის, აბა, ვის აინტერესებს? ბ-ნ შალვას ეტყობა არ დასჭირვებია ამერიკაში მოხუცებულის ერთი ადგილის მოსაწმენდად ცოლის გაგზავნა... რომ გავგზავნე, ახლა ეცოდინებოდა, როგორ შრომობს აქაური ემიგრაცია. საქართველოს სავალუტო ფონდში გზავნილი ფული, სწორედ აქედან გაგზავნილი ფულის დამსახურებაა – ეს 5 წლის წინათ რომან გოცირიძემ ქართველ ჟურნალისტს განუცხადა. ბ-ნმა შალვამ მარტო თავის თავზე კი არ უნდა იფიქროს, არამედ გაიხედ-გამოიხედოს და დაინახოს, რა ხდება მსოფლიოში და გაიგოს, თუ რას ვემსახურებით აქ წამოსული ქართველები. ჩვენ ჩვენს ქვეყანას ვემსახურებით. ჩვენ გვინდა, რომ ქვეყანა ძლიერ დემოკრატიულიდან როგორც გამოვიდეს, ფეხზე დადგეს! თქვენ კი დანაგრძელელ ძალაუფლების ხელით, რომელიც 20 წელია ... და ვერ მოიხსენა. ასეთი მენტალიტეტით ამგვარი პარტია ვერ მოვა ქვეყნის სათავეში. ბევრი კვლავ დარჩა საბჭოთა მენტალიტეტით, რადგანაც მისთვის განსხვავებული აზრი მიუღებელია. მე მამაზეციერმა არჩევანის უფლება მომცა და მას არ დავუთრგუნივარ, გინდა თუ არა ქვეყანა დატოვეო. თვითონ გადავწყვიტე აქ წამოსვლა. მინდა ვუთხრა ბ-ნ შალვას! მე გავაკეთე არჩევანი და ამერიკაში წამოვედი, რათა უცნობს თუ ნაცნობს ჩემი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად დავეხმარო. მე ვშრომობ, ვარჩენ ღარიბსა და დასახმარებელს. ბ-ნო შალვა, შრომა მაიმუნობად არსად ითვლება. მაიმუნობა უშრომელი შემოსავლით ცხოვრებაა.

**მზია დემეტრაძე** – სხვა ოპოზიციონერებთან შედარებით ყველას მაინც თქვენ მირჩევნოდით, ბ-ნო შალვა. სხვებისგან განსხვავებით არჩევნებში თქვენი 7 პროცენტი ყოველთვის გაქვთ. მაგრამ ახლა ისეთი ძორები არიან ოპოზიციაში და ხელისუფლებაში მოსვლას ლამობენ, თქვენ იქ არც მიგიშვებენ. მინდა ერთი რამ გკითხოთ: გეგულებათ რომელიმე ქართველი, რომლის ბავშვობის ოცნება იყო და არის ამერიკაში ჩასვლა, კარიდან კარზე ატუზვა და ბომჟივით წანწალი უცნობ ოჯახებში, მოხუცებთან, ბავშვებთან მოსამსახურედ ყოფნა, სხვათა ტუალეტების ხეხვა? მაშინ როცა საქართველოში სახლი გვაქვს, ოჯახი გვყავს, რომელიც გვენატრება, რომელსაც სიზმარში ვხედავთ? მე რომ საქართველოში არსებობის საშუალება არ მქონდა, ამიტომაც წამოვედი აქ, მაგრამ თქვენ მე რატომღაც მოღალატეს მიწოდებთ! მე არ შევყურებ მთავრობას, ჩემით ვიშოვე სამსახური, ჩემს თავს და ოჯახს თავად ვარჩენ. რადგანაც ლეიბორისტები პარლამენტს უკადრისებენ და კანონებზე მუშაობაზე უარს აცხადებენ, მაგრამ ხელფასს მაინც იღებენ, მერე პენსიასაც აიღებენ, მე ერთ რამეს შემოგთავაზებთ, ბ-ნო შალვა, მომეცით თქვენი ხელფასი და მე დღესვე მოვდივარ საქართველოში, დაოთხილი, ტანსაცმელს არ გამოვიცვლი, საშინაოთი. დამიჯერეთ, დამერწმუნეთ, გეფიცებით, ჩემოდანსაც არ ჩავალაგებ ისე გამოვიქცევი აეროპორტში, თუ თქვენს ხელფასსა და საპარლამენტო პენსიას დამითმობთ...

**ვახტანგ კაკაბაძე** – მსოფლიოში ადამიანთა მიგრაცია ნორმალურ მოვლენად ითვლება. არსებობს შიდა და გარე მიგრაცია. შიდა მიგრაციის ნათელი მაგალითია საქართველო, სადაც რეგიონებში მცხოვრებნი უკეთესი ცხოვრების ძიებისას მხოლოდ თბილისისკენ მიდიან; არსებობს გარე მიგრაციაც, როცა ადამიანი სამუშაოს თუ სხვა რამ მიზეზით საკუთარ ქვეყანას ტოვებს. ამ პროცესებს მეცნიერება სწავლობს.

ბ-ნ შალვას სხვა რამესაც შევახსენებდი: საბჭოთა კავშირის დროს კომუნისტური პარტიის გენმდივანი თავის სავარძელში სიკვდილამდე იჯდა. კარგი იქნებოდა, ნათელაშვილმა თავისსავე პარტიაში დემოკრატიული პრინციპი დანერგოს, რათა მისი პირადი მხოლოდ ერთი კაცის პარტიად არ გადაიქცეს. როცა პარტია არჩევნებს აგებს, პარტიული დისციპლინიდან და როტაციის წესიდან გამომდინარე, მისი ბირთვი იცვლება. მაგალითად, გლერი გადადგა პარტიის თავმჯდომარეობიდან და ადგილი თავის მოადგილეს დაუთმო. როცა სხვას უწუნებ დემოკრატიის ნაკლებობას, ჯერ საკუთარ დემოკრატიულობა უნდა გაგახსენდეს. ეს არა მარტო ამ პარტიას ეხება. პარტიები ერთმანეთის ლანძღვაზე, ამ დროს კი ქვეყანა ინგრევა. სხვათა შორის, ამერიკაში მყოფი ქართველები უფრო მეტ მონაწილეობას ღებულობენ ქვეყნის ამშენებლობაში, ვიდრე ზოგიერთი პოლიტიკური პარტია. აქედან გაგზავნილი ფულით, ჩვენ მინიმუმ ორ ოჯახს ვარჩენთ. ჩვენ რომ ფული არ გადავაგზავნოთ, საიდან გაჩნდება თანხა, საიდან მოიკრიბება გადასახადები? როცა ჩინეთში 1979 წელს მაო ძე-დუნის მერე დენ სიაოპინი მოვიდა, მან კარი გახსნა. 20 მლნ. ჩინელი საზღვარგარეთ წავიდა. ბრეჟნევის დროინდელმა კომუნისტებმა ლანძღვა დაუწყეს, ხალხით ვაჭრობსო და მათ ექსპლუატაციას უწევსო. ერთი წლის განმავლობაში კი ამ ხალხმა 3 მლრ. დოლარი გადააგზავნა სახლში და ეს ფულიც გახდა ჩინეთის სიძლიერის ერთ-ერთი ფაქტორი. ამიტომ ბ-ნო შალვა, მე ვმოქმედებ არა ისე, როგორც თქვენ გვკარნახობთ, არამედ ისე, როგორადაც ეს ჩემს ქვეყანასა და ჩემს ოჯახს სჭირდება. ჩვენ აქ კანონსაწინააღმდეგოს არაფერს ვაკეთებთ. ამერიკა კანონის ქვეყანაა და თუ რაიმე შეგეშალა, ციხეში თუ არ გაგიშვეს, ჯარიმებით ამოგხდიან სულს. ეს ქვეყანა დემოკრატიისა და შრომის აშენებულია და არა – ურთიერთლანძღვის. ბევრი ქართველი არალეგალია აქ, მაგრამ ყველა კანონს ემორჩილება და არა ისე, ბუში და ობამა არაა ჩემი პრეზიდენტი და ამიტომ კანონს დავარღვევო. მაშინ გეტყვით, რომ სააკაშვილი ჩემი პრეზიდენტია და არ უნდა წავიდეს. ამბობდით, ბუში წავა და მიშაც გაჰყვებაო... გამოდის, რომ თუ სხვა ქვეყანამ გარედან არ დაიცვა ქართველი პრეზიდენტი, მას შიდა ძალა ვერ დაიცავს? ასე არ არის, ბ-ნო შალვა, თქვენდა სამწუხაროდ, ასე არ არის...

**ცისანა კალაძე** – როგორც ვხედავ, ბ-ნ შალვას არ უნდა, რომ ქართველები სამშობლოში დაბრუნდნენ. ჩვენ რომ დავბრუნდეთ და ლატაკთა არმიას შევემატოთ, ცარიელი ხაზინიდან როგორ მიიღებთ ფულს პარტიული საქმიანობისთვის? საზღვარგარეთიდან წამოსული გრანტები თუ კრედიტები არაა გამიზნული ქართული პარტიების დასაფინანსებლად... თავად მე 7 წელია აქა ვარ და ბედის უკუღმართობის გამო 27 სამსახური გამოვიცვალე. ყოველთვის მომაკვდავის მოვლა მიწევდა. მეგობრებმა ამერიკელი მოხუცების დამტირებელი შემარქვეს. რამდენს დავუხუჭე აქ თვალები, ვინ იცის. რამდენის ხრიალი, კივილი და ბოდვა მომისმენია, რამდენის აგონია მინახავს, რამდენისთვის მე და შემდგომ სასწრაფოს გუნდს გულის მასაჟი ჩაუტარებია, მაგრამ უშედეგოდ. ზოგმა სიზმარში, ზოგმა ჩემს თვალწინ დალია სული. სანამ შვილები და ჭირისუფლები მოვლენ, მე ვარ გარდაცვლილის პატრონიცა და ხელოვნური სუნთქვის ჩამტარებელიც. ხუთჯერ მოხუცებულის გადასარჩენად გამოძახებულმა სასწრაფომ მეც მომხედა. ერთხელ ორი საათით ჟანგბადზე შემაერთეს. ველარ ვუძლებ. ველარ! ფრანგულ-ინგლისური ენის თარჯიმანი ვარ... ერთადერთი ქალიშვილი მყავს საქართველოში, რომელსაც სიმსივნე აქვს... 9 აპრილის შემდეგ სულ ავადაა... ჩემს მიერ გაგზავნილი ფული რომ არა, ახლა ცოცხალი აღარ მეყოლებოდა. ვისთანაც ამჟამად ვმუშაობ, მომაკვდავი არაა, მაგრამ ჭკუასუსტია და უსაშველოდ ძუნწი. სიძეს საძინებლიდან საწოლი გამოატანინა და მაცივართან დაადგმევინა, „ზედმეტი“ პომიდორი რომ არ შევჭამო. არადა აქაური სტანდარტებით მე რომ საკვების ყიდვა დავიწყო, ჩემი მიზერული ხელფასი ამას არ ეყოფა და სახლში, ჩემს უმამო შვილიშვილებსა და ავადმყოფ შვილს რაღა გავუგზავნო? ამიტომ გამოსასვლელ დღეს, როცა ნიუ-იორკისკენ მივდივარ, რომ ცოცხალი ადამიანები, ახალგაზრდები, ბავშვები დავინახო და ამერიკელ მოხუცთა სახისა და უკანალების გარდა სხვა რამითაც დამამახსოვრდეს ამერიკა, ერთ-ერთ გაჩერებაზე ჩემი მეგობარი მხვდება და ქალაქისკენ ერთად ვმგზავრობთ. დალოცვილს ჩემთვის საკვები და თავისი გაკეთებული კერძები მოაქვს. მე ავტობუსში ველურივით ვჭამ, შიმშილის გრძნობას რომ ვიკმაყოფილებ, მერე გულისრევის შეგრძნებას ვიოკებ. მწარეა შიმშილი, მაგრამ ამაზე მწარე იმის შეგრძნებაა, შენს შვილსა და შვილიშვილებს რომ შიათ. მეგობარი სამსახურში საკვებს გამატანდა, მაგრამ დაბრუნებისას, ხომ ისევ „ბებოს“ მაცივარში უნდა შევინახო. მან კი ეს რომ დაინახოს, იმ მაკარონის „მირთმევის“ უფლებასაც არ მომცემს, რითაც აგერ უკვე მე-6 თვეა ყოველდღე ვიკვებები... ბ-ნო შალვა, სადმე გსმენიათ ასეთი ისტორიები? გიკითხავთ აქაური ქართველებისთვის, ვის რა უჭირს, ვინ რას ჭამს? თუ ეს იმდენად „მდაბიო“ თემაა, რომ „დემეტრე თავდადებულის“ მაგალითობა ჩვენთან რა მოსატანია?..

**დიანა ბაქრაძე** – აქ ორი ქართველი ქალი გავიცანი... ამერიკაში შემოსასვლელად მექსიკის საზღვარი არალეგალურად გადაკვეთეს, მექსიკის კანალიზაციის მილებით იარეს... საქართველოში სამ ოჯახს არჩენენ. ახლა ობამას ადმინისტრაცია საემიგრაციო ამნისტიას ამზადებს, ანუ შესაძლებელია კლინტონის ხანისდარად არალეგალების გალეგალების პროცესი დაიწყოს, მაგრამ არა იმათი, ვინც ამ ორი ქალის მსგავსად უკანონოდ შემოვიდა ამერიკაში. თუ გაიგეს სად არიან, უმალ გაადეპორტებენ. ამათი გადეპორტება კი საქართველოში მისიანების შიმშილით სიკვდილს ნიშნავს. თავად მე ქალაქ თომს – რივერში ვმუშაობ. ეს ის ქალაქია, რომელიც თავისი მაღალი რადიაციული ფონითა და სიმსივნეებითაა ცნობილი. აშშ-ში ლეიკემიების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ აქაა. თომს-რივერი სავსეა სიმსივნით დაავადებული ამერიკელებითა და მათი მომვლელი არალეგალი ქართველებით. სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ამ ქალაქში მუშაობას თავს არიდებენ, ქართველები კი – არა... ესაა ჩემი პასუხი ბ-ნ შალვა ნათელაშვილის ბრალდებებზე...

**ხატია პაიჭაძე** – ბ-ნო შალვა, ნიუ-იორკისა და სხვა შტატების აფთიაქებში აღარ დარჩა „ვალერიანი“, „ნოვო-პასიტი“ და „ფენაზეპამი“... იმიტომ, რომ ისინი სულ ჩვენ შევისყიდეთ და დავლიეთ. რაც გინდათ, ის გვიწოდეთ, ერთს კი გეტყვით: ჩვენ ჩვენი შვილებისა და ქვეყნის წინაშე ვალს პატიოსნად ვიხდით. მე პროფესიით მსახიობი ვარ, საქართველოში თეატრში ვმუშაობდი, ღამე კი კაპიკების საფასურად სხვათა ფარდებს ვკემსავდი, ვრეცხავდი და ვაუთავებდი, დენი თუ მოვიდოდა. თვალის ჩინი ლამის დავკარგე... ამერიკაში წამოვედი და მომსამსახურედ ვმუშაობ, წელი მაქვს მოწყვეტილი, იმხელა მოხუცებს დავათრევ. უზომოდ გადავიღალე. ვისთანაც ახლა ვმუშაობ მომვლელად, მარაზმატიკია... უკნიდან გამოიღებს განავალს და მესვრის ხოლმე. ხან ხელზე მხვდება, ხან მხარზე, ხანაც – სახეზე. ვიწმინდავ და მუშაობას განვაგრძობ. რაც არ უნდა მიყოს ჭკუასუსტმა მოხუცმა, ისე არ მომხვდება გულზე, როგორც თქვენი უმადურობა მომხვდა! ვინ იცის, რამდენია ჩემნაირი. ჰოდა, ჩემო ბატონო, გეტყვით: გაუმარჯოს იმ მაიმუნებს, ვინც პატიოსნად, თავგადადებით შრომობს. გაუმარჯოს „მაიმუნ“ ქართველებს!..

**მარი გიგაშვილი** – როგორ ბედავთ თქვენ, მოღალატე მიწოდოთ ლუკმა-პურის საშოვნელად გადახვეწილს, ოჯახს, მამულს იძულებით მოწყვეტილს, შრომაში სულამოხდილ, ყველას და ყველაფერს დანატრებულ ისედაც გულმოკლულ ადამიანს?! რითი ვერ გაიყავით საცოდავი საქართველო! ღმერთმა დალოცოს ჩემი საქართველო, ჩემი ხალხი, ჩემი ანბანი! ღმერთმა მოგიზღოთ თქვენ თქვენი საზღაური და ჩვენ „მოღალატეებს“ – ჩვენი!..

**ნანა ხიზანიშვილი** – 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ჟურნალმა „თანამემამულემ“ ვაშინგტონში არჩევნების დამკვირვებლად მიმავლინა. რამდენადაც მახსოვს, შალვა ნათელაშვილმა ვაშინგტონში ერთი ხმა მიიღო მხოლოდ. როგორც ჩანს, მხოლოდ ის ერთი ადამიანი იქნება საქართველოში შეშვების ღირსი, როცა „კარში“ ბატონი შალვა დადგება. ყველა ის კი, ვინც განსაკუთრებით იაქტიურა რუსეთ-საქართველოს ომის დღეებში, ვაშინგტონში რუსეთის საელჩოსთან ყოველდღე საპროტესტო აქციებზე დადიოდა, აწარმოა მიწერ-მოწერა შტატების სენატორებთან, უკავშირდებოდა საინფორმაციო საშუალებებსა და თავისი წვლილი შეჰქონდა მოვლენების ობიექტურ გაშუქებაში, „ცხადია“, შალვა ნათელაშვილის მიერ გაკიცხვას იმსახურებს. ჩვენ ხომ ხაზგასმითა და ღიად ვიცავთ საქართველოს ინტერესებს, ვგმობთ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას. ის ქართველები, ვისაც ჩვენი პროფესიით მუშაობის ბედნიერება მოგვეცა, წარმატებულნი ვართ სწორედ ჩვენი დაუზოგავი შრომით, პროფესიონალიზმითა და ნიჭით. ჩვენ თავისუფალი ვართ ვიწროპარტიული ინტერესებისგან, რადგანაც საკუთარი კეთილდღეობა მხოლოდ ჩვენსავე საკუთარ შრომაზეა დამოკიდებული. ჩვენ საქართველოს ვუჭერთ მხარს! ბ-ნ შალვას მკაცრი ტონი და დიქტორ ლევიტანის ხმით გაცხადებული დირექტივები ჩვენზე არ მოქმედებს და არ გვაშინებს. ისე, თუ ასეთი პრინციპულია და ანტიამერიკელი, რატომ ჩამოდის აქ ასე ხშირად?

**ლელა მაისურაძე** – რას გვერჩით? იქნებ იმას, რომ ღმერთმა იცის, რამდენი ხანია ჩვენი ოჯახები არ გვინახავს, დედები, შვილები, ქმრები, ცოლები. ჩამოვყვე?.. სია გრძელია. იქნებ იმას, რომ ჩვენებს ჩაძირვის საშუალებას არ ვაძლევთ. ვისი დამსახურებაა, რომ არ შიათ, არ სწყურიათ, შიშვლები რომ არ დაეხეტებიან ქუჩა-ქუჩა, უწამლოდ სული არ სძვრებათ; ბინის, წყლის, გაზის ფულს რომ იხდიან? რომ ჩვენი შვილები, ქვეყანაში რაც მწირი განათლებაა შემორჩენილი, იმას მაინც ეუფლებიან. ესაა ჩვენი დანაშაული?! ან ის, რომ ვინ მოთვლის რამდენი წელია, ჩვენ ნებაზე ვერ დაგვიძინია და ვერ გაგვიღვიძია, ვერ გვიცინია და ვერ გვიტირია, ჩვენს ნებაზე ვერ ავმდგარვართ და ვერ დავმჯდარვართ, ვერ გავსულვართ და ვერ შემოვსულვართ, ამას ეძახით თქვენ მაიმუნობას? თუ იმას გვერჩით, რომ თუ ქვეყანა გვესიზმრება, ყოველთვის კოშმარად გვესიზმრება და გამოღვიძებულებს არანაკლებად კოშმარული რეალობა გვხვდება. სწორედ ამიტომ არა ვართ ქვეყანაში შემოსაშვები? ანდა იმის გამო, რომ თითოეულ ჩვენგანს გადასვენების თანხა თან რომ დაგვაქვს ყველგან, სამშობლოში მაინც რომ დავიმარხოთ? ეს დავაშავეთ? და თუ თქვენ ამას მაიმუნობას უწოდებთ, ჩემო ბატონო, ნება მიბოძეთ მე თქვენს საქმინობას – ზოოპარკი, თქვენს აზროვნებას – იმპოტენტენტური გონების გვემა ვუწოდო. ხომ მაქვს ამის უფლება, ხომ დემოკრატია გვაქვს ახლა, ხომ სიტყვის თავისუფლებით ვამაყობთ და ამისათვის ვიბრძოდით. ვიბრძვით და რაღაც ცუდი წინათგრძნობა მკარნახობს, რომ კიდევ დიდხანს, დიდხანს ვიბრძოლებთ...

**ია მერკვილაძე,**

**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 105-106.**

## წერილი რედაქციას

# როდემდე გაგრძელდეს ასე?

### ობიექტურად შევაფასოთ დღევანდელი მოვლენების ზოგი მონაწილე

***გოეთესთვის უკითხავთ: - „ობიექტური თუ ხართო?“ - „რა თქმა უნდა, არა!“ უპასუხია დიდ მწერალსა და მოაზროვნეს. თანაც დაუმატებია - „ვცდილობ, ასეთი ვიყოო“.***

***რადგან გოეთე ამბობს, რომ „ცდილობს იყოს ობიექტური“, იგულისხმება, რომ ობიექტურობა ძნელი საქმეა, მაგრამ ვცადოთ, ვიყოთ ობიექტურნი, ყველას შეგვიძლია!***

***ამ შეგონებაზე დაყრდნობით ვცდი, ობიექტურად შევაფასო ოპოზიციის გვერდით გულწრფელად მდგომნი და არც მთლად ასეთნი.***

***წერილში ლაპარაკი მექნება ნინო ბურჯანაძეზე, ზურაბ ნოღაიდელზე და გიორგი გოგოლაშვილზე. ზოგ სხვა საკითხზეც. პირველ ორ პიროვნებას არც პირადად ვიცნობ და მათთან რაიმე ურთიერთობა არასდროს მქონია. რაც შეეხება გ. გოგოლაშვილს, ჩვენს ურთიერთობაზე წერილიდან შეიტყობთ.***

დავიწყოთ იმით, რომ მომიტინგეთა ერთი ჯგუფი რამდენიმეჯერ სტვენით შეხვდა ნინო ბურჯანაძეს, რითაც თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ოპოზიციის მხარეზე გადასული ქალბატონის მიმართ., ხოლო გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ ა.წ. 27 აპრილის ნომერში „საკუთარ აზრს“ **ქეთი ხატიაშვილი** ასე ახმოვანებს: **„ქაოსი და არეულობაა ნინო ბურჯანაძის ბოლო შანსი — მხოლოდ ასე შეუძლია ხელისუფლებაში დაბრუნება...“.**

უზნეობა ამაზე შორს ვერ წავა!

კი, მაგრამ, რატომ გაიხადა ქალბატონმა ნინომ „უკან დასაბრუნებლად“ საქმე? რა, იგი ვინმემ გამოაგდო მთავრობიდან?

როცა „თითქოს მიუდგომელი მკითხველი“, სინამდვილეში თავგადაკლული „ნაციონალი“, ასე „მსჯელობს“, მისი პრობლემაა. საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ, როცა ეს „აზრები“ გაზეთის პირველ გვერდზე გამოაქვთ, რა უნდა დავარქვათ ამას? — პრესის თავისუფლება?

გაზეთის რედაქციამ, ვიდრე წერილს დაბეჭდავდეს, არ უნდა ჰკითხოს ავტორს: — რა არგუმენტი აქვს ასეთი განცხადებისთვის? გაზეთში საჯაროდ გამოტანილ მოსაზრებას რაიმე დასაბუთება არ სჭირდება?

ახლა ყოველგვარი ზედმეტი „ფილოსოფოსობის“ გარეშე შევხედოთ ქალბატონი ნინოს ქმედებას, ვცადოთ ამ ქმედების ობიექტური ანალიზი.

ნინო ბურჯანაძე ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. მთავრობაში თანამდებობრივად მეორე ადგილი უკავია. ტოვებს ამ ადგილს და გადმოდის ოპოზიციაში. რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს მას? — **პირველკაცობა?**

ნინო ბურჯანაძე რომ ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტის მსგავსი ჩიტირეკია, გაუწონასწორებული და ამბიციური პიროვნება იყოს, ჰო, მაგრამ, ხომ ყველამ ვიცით ამ ქალბატონის ინტელექტუალური შესაძლებლობები და ემოციების მოთოკვის უნარი! **არ უნდა დავფიქრდეთ, რატომ წამოვიდა ხელისუფლებიდან?** ვითომ პირველკაცობა უნდა, პრეზიდენტის სკამისკენ მიილტვის? — ეს ხომ იმდენად დაუსაბუთებელი მოსაზრებაა, რომ ამაზე კამათიც ფუჭი დროის კარგვაა.



ნინო ბურჯანაძემ შესანიშნავად იცის: მასაც მიუძღვის წილი დღევანდელი ხელისუფლების იმ დროის უკანონო ქმედებებში, როცა ჯერ კიდევ მთავრობაში იყო, რისთვისაც სახალხოდ, მთელი ერის წინაშე, **ბოდიში მოიხადა,** რაც იმას ნიშნავს, რომ ობიექტურად აფასებს წარსულს.

ჩვენ ვეუბნებით: რატომ აქამდე არ დატოვე თანამდებობაო? აბა, ცოტა მიუდგომლად განვსაჯოთ: — ნინო ბურჯანაძე, როგორც ითქვა, შემოქმედია ე.წ. „ვარდების რევოლუციისა“, იგი ქვეყანაში მეორე პირია. როგორ მოქცეულიყო უფრო ადრე, როცა დაინახა, რომ პრეზიდენტი ცდება? მაშინვე ეს შეცდომა დანაშაულად ჩაეთვალა და ხელი აეღო ყველა იმ გეგმის შესრულების მცდელობაზე, რისთვისაც ხელისუფლებაში მოვიდა? ვინმე იქცევა ასე სულწასულად? თუ იფიქრებს, რომ: **ჩემს თანამებრძოლსა და თანამოაზრეს** (ხომ ასეთებად იგულისხმებოდნენ მთავრობაში მოსვლამდე?ძ **ეს შემთხვევით მოუვიდა, ალბათ, ჩქარა გამოასწორებსო?!**

ნინო ბურჯანაძის გადაწყვეტილება: **მან მეორე პირის თანამდებობა დატოვა და გაურკვეველი მომავლის მქონე ოპოზიციას შეუერთდა, მხოლოდ და მხოლოდ იმის მამტკიცებელია, რომ იგი ცამდე მართალია. ამბობს: პრეზიდენტის ქმედებები არ მომწონდა, რის შესახებაც მას ვეუბნებოდი; ვთხოვდი, გამოესწორებინა დაშვებული შეცდომა, მივუთითებდი ნაკლზე.**

დიახ, ასე იყო სინამდვილეში, ალბათ, და როცა ამ თხოვნამ, მითითებებმა, ხვეწნა-მუდარამ შედეგი არ გამოიღო, ნინო ბურჯანაძემ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, დაეტოვებინა არა მხოლოდ თანამდებობა და უარი ეთქვა მაღალანაზღაურებად მდგომარეობაზე, არამედ სამუდამოდ გაეწყვიტა ურთიერთობა ადამიანთა იმ დიდ წრესთან, რომელთანაც ერთად წლების განმავლობაში მოღვაწეობდა.

ასეთი ქცევა განა გმირობის ტოლფასი არაა?!

**დაახლოებით იგივე ითქმის ზურაბ ნოღაიდელზეც.**

ახლა ოპოზიციის გვერდით დამდგარი გ. გოგოლაშვილის ქმედების საფუძველი და მიზანდასახულებაც განვიხილოთ.

ბოლო ხანებში ტელევიზიით ხშირად გვიჩვენებენ საინტერესო კლიპს, რომელში მონაწილენიც (თანაც სხვადასხვა ენაზეძ პრეზიდენტისგან მოითხოვენ გადადგომას. ყველანი, როგორც წესი, ერთნაირად ამბობენ: **„ — მიშა წადი!“**

მხოლოდ ერთი მიმართავს: **„ბატონო მიხეილ, წაბრძანდით!“**

ვითომ ნამდვილად ასე ფიქრობს გ. გოგოლაშვილი? როცა თვითმარქვია პრეზიდენტს **ბატონობითა** და **წაბრძანების** მოთხოვნით მიმართავს?

არა ბატონებო!

იგი თადარიგს იჭერს. ვინიცობაა, პრეზიდენტი გადარჩეს, თავისი ადგილი შეინარჩუნოს, გოგოლაშვილს სათქმელი ჰქონდეს: **„— მაიძულეს, თქვენი გადადგომა მომეთხოვა და რა მექნა? სამაგიეროდ ყველაფერი გავაკეთე, თქვენთვის შეურაცხყოფა არ მომეყენებინა, რაც იმის მამტკიცებელია, რომ ჩემი იმედი უნდა გქონდეთ!“**

რა მაძლევს ამის თქმის უფლებას? — გიორგი გოგოლაშვილის წარსული.

იხ. 9 გვ.

## პრესის თავისუფლების ევროპული ქარტია



# მედიის თავისუფლებას ხელისუფლების ჩარევისგან უზრუნველყოფს

**გერმანიის ქალაქ ჰამბურგში მიიღეს „პრესის თავისუფლების ევროპული ქარტია“, რომელიც ევროპის 19 ქვეყნის 46 წამყვანი მედიასაშუალების რედაქტორებმა შეიმუშავეს. ქარტიაზე ხელმოწერის ცერემონიალი ჰამბურგის პრესის სახლში გამართულ ფორუმზე შედგა.**

ხელმოსაწერი დოკუმენტის საბოლოო ტექსტი გავლენიანმა გერმანულმა გამოცემებმა შეიმუშავეს.

10-პუნქტიან ქარტიაში ის ძირითადი პრინციპებია ჩამოყალიბებული, რომელთა დაცვა მედიის თავისუფლებას ხელისუფლების ჩარევისგან უზრუნველყოფს. იგულისხმება მედიის წარმომადგენლების უფლება, კერძოდ: ისინი დაცული უნდა იყვნენ თვალთვალისგან, ელექტრონული მოსმენებისგან, რედაქციებში ჩხრეკისა და ჟურნალისტების კომპიუტერების შემოწმებისგან; ქარტიაში ასევე საუბარია ჟურნალისტების უფლებაზე, მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ყველა ნაციონალური და უცხოური საინფორმაციო წყარო.

ფორუმის მონაწილეთა აზრით, ქარტია უნდა გახდეს იურიდიული ძალის დოკუმენტი, რომელზე ხელმოწერაც ევროკავშირში გასაწევრებლად აუცილებელი პირობა იქნება.

ორგანიზატორთა აზრით, იდეაში ევროპული ქვეყნების ჟურნალისტებს უფლება ექნებათ დაიმოწმონ ხსენებული ქარტია ხელისუფლებასთან ან მის ცალკეულ უწყებასთან კონფლიქტის დროს და ასეთ შემთხვევაში დახმარებისთვის მიმართონ თავიანთ უცხოელ კოლეგებს.

„პრესის თავისუფლების ევროპული ქარტიის“ ტექსტში აღნიშნულია:

„პრესის თავისუფლება სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ყოველი მთავრობა ვალდებულია მხარი დაუჭიროს, დაიცვას და პატივი სცეს ნებისმიერი პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული მიმდინარეობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებას.

ცენზურა საერთოდ უნდა აიკრძალოს. აუცილებელია ნებისმიერი სახის მედიის ჟურნალისტების დამოუკიდებლობის გარანტირება, დაუშვებელია მათი დევნა, რეპრესია და სახელმწიფოს მხრიდან მათ საქმიანობაში ჩარევა. არ შეიძლება ბეჭდური მედიისა და ონლაინ-მედიის ლიცენზირება.

ჟურნალისტების უფლებას — გაავრცელონ ინფორმაცია და მოსაზრებები — საფრთხე არ უნდა დაემუქროს, არ უნდა შეიზღუდოს და არ გახდეს სანქციების საფუძველი.

უნდა არსებობდეს ჟურნალისტის ინფორმაციის წყაროს დაცვის გარანტიები. დაუშვებელია, რომ ინფორმაციის წყაროს დადგენის ან ამ წყაროს კონფიდენციალობის დარღვევის მიზნით, ჩატარდეს ჩხრეკა რედაქციებსა და ჟურნალისტების საცხოვრებელ ბინებში, დაუშვებელია ამავე მიზნით ჟურნალისტების თვალთვალი და მათი სატელეფონო საუბრების მოსმენა.

სახელმწიფომ უნდა შექმნას გარანტია, რომ მედიას, საკუთარი ფუნქციის შესრულების დროს, დაიცავს ხელისუფლება, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, იგულისხმება ჟურნალისტებისა და მათი დამხმარე თანამშრომლების ფიზიკური დაცვა. ამ უფლების ნებისმიერი დარღვევისა და მის წინააღმდეგ ნებისმიერი მუქარის ფაქტი დეტალურად უნდა გამოიძიონ, დამნაშავეები კი მართლმსაჯულებამ დასაჯოს“.

**მოამზადა**
**ოლღა ცისკარიშვილმა**

## წკეპლიკა

# თბილისიდან ბათუმისკენ მიმავალო მგზავრო...

**არ ვიცი, პირველს რომელ სუპერრადიკალურ ოპოზიციონერს მოუვიდა თავში 26 მაისს რკინიგზის გადაკეტვა, მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყო, ბოდიში და, კაი უგუნურება გამოუვიდა.**

მე არც ქუჩის ბლოკირებით ვარ აღფრთოვანებული და ბევრთან ერთად მგონია, რომ ამდენი და ამგვარი პიკეტირებით საბოლოოდ მაინც ჩვენ ვზარალდებით, რიგითი ადამიანები, უბრალო ხალხი. სხვა ამბავია უშუალოდ სამთავრობო-სახელისუფლებო შენობების საპროტესტო ალყა — კი ბატონო, რამდენიც გნებავთ...

ასეთი მარჯვე ბიჭები (და გოგოები!ძ თუ არიან, რატომ ერთხელ მაინც ვერ გადაუღობეს, ვერ ჩაუშალეს ვერც ერთი მარშრუტი, ვერც ერთი გადაადგილება, ვერც ერთი აფრენა, გაფრენა-გამოფრენა და დაფრენა ჩვენს მისტერ-ტვისტერს (სამუელ მარშაკის ლიტერატურული პერსონაჟი გახლავთ ჩემი შორეული ბავშვობიდან: „ქარხნების, ბანკების, გემების პატრონს ეს ერთი სურვილი ალხენს და ათრობს: მოგზაურობას მოჰკიდოს ხელი, შემოიაროს ქვეყანა ვრცელი“, — ქართულად მთარგმნელი არ მახსოვს...ძ, ჩვენს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, რომელიც გრძელ-გრძელი ნაბიჯებით, სპრინტერულად თუ მარათონულად ამდენს დაჰქრის საზღვარშიგნით თუ საზღვარგარეთ (ლიდერი შინ არ ვარგოდაო, უცხოეთში კი დარბოდაო...), რომელმაც სულ ახლახან, ისევ „გუშლამ“, ფეხებზე დაიკიდა შენი ეროვნული სტადიონი, შენი რკინიგზაცა და შენი რუსთაველის გამზირიც და რომში წაბრძანდა... „ბარსელონა“-„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფინალურ მატჩზე. ნამდვილი „ანაღვლეა“, ხომ? (ყველა ქლიბაძესთან უკაცრავად, მაგრამ როგორ არ გამახსენებოდა აქ ერთი შესანიშნავი ქართული ანდაზა: „ქვეყანა იქცეოდა და ქლიბაძე ბუქნას შვრებოდაო“...ძ.

საერთოდ კი, რახან ოპოზიციასა და პრეზიდენტზეა საუბარი, ამჟამინდელი ვითარება ძალიან მაგონებს ივან კრილოვის ერთ არაკს (დალახვროს ეშმაკმა ჩემი ასოციაციები!ძ — ქარიყლაპია, გედი და კიბო რომ შეეცადნენ საზიდრის დაძვრას. დიახ, დასაძვრელი „ვოზ“-ი, ანუ მიხეილ სააკაშვილი, გაუთავებელი მოგზაურობის მიუხედავად, ისევ იმ ადგილზედ არის: „აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძსო“...

...სამი დღე დავყავი მშობლიურ ხაშურში და 27 მაისს წამოვედი ზუგდიდი-თბილისის მატარებლით. ვადასტურებ: განბლოკირებული რკინიგზა შესაშური სიზუსტით მუშაობდა. მატარებელი გრაფიკით, წუთი-წუთზე მოგრიალდა და დიდუბის სადგურშიც ეგრევე ჩამოდგა...

**თამაზ ებანოიძე.**

***P. S. წერილი მზად მქონდა, როცა გავიგე, რომ საზღვარგარეთ საგასტროლოდ გამზადებული ამირან შალიკაშვილის მინიატიურების თეატრის წარმომადგენლებმა 28 მაისს მერიის შენობაში ვერ შეაღწიეს სამივლინებო დეტალების მოსაგვარებლად იქ მოწყობილი პიკეტირების გამო; ასე რომ, ჩემს „თეზაში“ — კი ბატონო, სახელისუფლებო შენობებს შემოარტყით საპროტესტო ალყა-მეთქი, უკვე დავეჭვდი...***

***P. P. S. პროვოკატორობას, უმორჩილესად გთხოვთ, ნურცვინ დამწამებს; იცის ღმერთმა და იციან ჩემმა ნაცნობებმა, რომ არც პროვოკატორი ვარ და არც ნაცმოელი. სამჭკუაშვილიც არა ვაარ!..***

***თ. ე.***

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**საქართველოში გაიმართა მრავალეროვანი სწავლების დახურვის ოფიციალური ცერემონია. იგი მიმდინარეობდა ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში.** სამხედრო თამაშები, რომლებიც თითქმის ერთი თვე გრძელდებოდა, გაიმართა მიუხედავად მოსკოვის მკვეთრი უკმაყოფილებისა. მოსკოვში მიაჩნიათ, რომ დასავლეთი ამგვარად აქეზებს საქართველოს ხელმძღვანელობას მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით, რომელმაც შარშან აგვისტოში სამხრეთ ოსეთში მოახდინა კონფლიქტის პროვოცირება.

# ნატომ საქართველოს ასწავლა



სამხედრო თამაშები ვაზიანის ბაზაზე თბილისის მახლობლად დაიწყო 6 მაისს და მიმდინარეობდა ორ ეტაპად. ერთი ეტაპი 6-დან 19 მაისამდე მიეძღვნა ნატოს საშტაბო სიახლეების შესწავლას და პარტნიორი ქვეყნების ერთობლიობის ამაღლებას მრავალეროვანი ბრიგადების დონეზე კრიზისულ სიტუაციებში. მეორე საველე ეტაპის მთავარი მიზანი იყო „სამხედრო მოსამსახურეების მომზადება ბატალიონების დონეზე“. მთლიანად სწავლებაში მონაწილეობა მიიღო ათასზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ ნატოს წევრი 14 სახელმწიფოდან.

როგორც სამხედრო თამაშების წარმოების შტაბის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა დენ მულიმ განმარტა, სამშვიდობო ბატალიონის მრავალეროვანი ძალების სწავლების მონაწილეები ამუშავებდნენ ავტომობილების კონტროლს მათში სხვადასხვა ასაფეთქებელი მოწყობილობის აღმოსაჩენად, აგრეთვე ჩხრეკდნენ დაკავებულ პიროვნებას და ახდენდნენ დაჭრილების ევაკუაციას. ამასთან ერთად მან აღნიშნა, რომ „დღევანდელი სწავლება – ეს არა მხოლოდ ქართველი მეომრების სწავლებაა, არამედ მასში მონაწილე მრავალეროვანი სამხედრო ძალების სწავლებაც“.

სხვათა შორის, თბილისისთვის სწავლებას ჰქონდა უფრო პოლიტიკური, ვიდრე სამხედრო მნიშვნელობა. საქმე ის არის, რომ ამ სწავლების მოწყობის წინააღმდეგ კატეგორიულად გამოდიოდა მოსკოვი თავიდანვე. რუსეთის ფედერაციის აზრით, ნატო ამრიგად „ახალისებს შემდგომი ავანტიურისთვის საქართველოს ხელმძღვანელობას მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით, რომელმაც შარშან აგვისტოში მოახდინა სამხრეთ ოსეთში სამხედრო კონფლიქტის პროვოცირება“. ალიანსი ამგვარ საყვედურებს უარყოფდა, დაბეჯითებით ადასტურებდა, რომ სწავლება დაგეგმილი იყო კონფლიქტამდე დიდი ხნით ადრე და იგი არ იყო მიმართული არც რუსეთის, არც საქართველოსგან გამოყოფილი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, ნაწილობრივ მოსკოვის ზემოქმედებით, ნაწილობრივ ფინანსური პრობლემების გამო ლონისძიება ნატოს ეგიდით აღმოჩნდა არც ისე მასშტაბური, როგორც იგეგმებოდა. უკანასკნელ მომენტში სწავლებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს სომხეთმა, ყაზახეთმა, ლატვიამ, მოლდოვამ, სერბიამ და ესტონეთმა. სწავლების გახსნის წინა დღეს მოხდა ქართული არმიის სატანკო ბატალიონის აჯანყება, რომელიც მუხროვანის ბაზაში იმყოფებოდა. მაშინ ოფიციალურმა თბილისმა განაცხადა, რომ ამბოხებულთა ერთ-ერთი მიზანი იყო სწორედ ნატოს სწავლების ჩაშლა.

მთლიანად კი სწავლებამ წარმატებით ჩაიარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უბედურ შემთხვევას, რომელიც თავს გადახდა კანადელ სამხედრო მოსამსახურეს. იგი დაიჭრა ხელში ყუმბარის აფეთქების დროს.

როგორც სწავლების დახურვის ცერემონიაზე თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ აღნიშნა, სწავლება იყო „აუცილებელი კომპონენტი საქართველოს მთავარი მიზნის – ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესრულებისთვის“. წინა დღით ვაზიანის ბაზაში მივიდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების ოფიცრებს „საქართველოს ძალისხმევისთვის მხარდაჭერის გამო ნატოს სტანდარტებთან მისაახლოებლად“.

სამხედრო თვალსაზრისით ეს ჩვეულებრივი სწავლება იყო: დაამუშავეს სამშვიდობო ოპერაციების უნარ-ჩვევები. თანაც სიტუაციას აქცენტი ჰქონდა აღებული ერაყზე, სადაც დაახლოებით 2 ათასი ქართველი სამხედრო მოსამსახურე ასრულებდა სამშვიდობო ფუნქციას, – განაცხადა დამოუკიდებელი სამხედრო-პოლიტიკური ჟურნალის „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა. – მაგრამ სწავლება იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან ნატომ, მიუხედავად მოსკოვის პროტესტისა, მხარი დაუჭირა საქართველოს.

**გიორგი დვალი**

**Коммерсант**

# სამხრეთ ოსეთი, არჩევნები არარსებულ „სახელმწიფოში“

**ცალმხრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება და მოსკოვის მიერ აღიარება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ იყო სახელმწიფო და აგებდე დემოკრატიულ სისტემას.** ეს პრობლემები ცხადი გახდა სამხრეთ ოსეთში საპარლამენტო არჩევნების კამპანიის მსვლელობის დროს. ფავორიტი გახდა პარტია „ერთიანობა“, რომელიც შეიქმნა რუსეთის პარლამენტის უმრავლესობის პარტიის ნიმუშით. ორი სხვა პარტიის – „სამშობლოსა“ და „სახალხო პარტიის“ – ლიდერებმა ბრალი დასდეს პრეზიდენტ ედუარდ კოკოითს მანიპულაციებში, გამოეყვანა სხვა პარტიები ბრძოლიდან. სამხრეთ ოსეთი დგამს პირველ ნაბიჯებს საერთაშორისო არენაზე და უკვე აქვს ლტოლვილთა გრძელი სია, რომლებიც კოკოითისა და მის მომხრეთა შიშით ცხოვრობენ მოსკოვში ან ვლადიკავკაზში.



ამ დროს სამხრეთ ოსეთის ომის შემდგომი აღდგენა გაჭირვებით მიიწევს წინ. მონაცემები მოსკოვის მიერ გაწეული დახმარების შესახებ სხვადასხვაგვარია: ზოგიერთი წყარო ამტკიცებს, რომ რუსეთმა უკვე დახარჯა 1,5 მილიარდი რუბლი, მაგრამ უბრალო ადამიანები ლაპარაკობენ, რომ ჰუმანიტარული დახმარება გზაში იკარგება.

ეკონომიკური სიტუაცია სამხრეთ ოსეთში არასტაბილურია, და რესპუბლიკის მცხოვრებლები აგრძელებენ ემიგრირებას სამუშაოს უქონლობის გამო. გუშინდელი არჩევნების ერთ-ერთი პრობლემა გახდა სიტუაცია, რომელიც შეიქმნა საქართველოს კონტროლქვეშ მყოფ ლენინგორის (ახალგორისძ რაიონში, სადაც ომის შემდეგ დარჩნენ ზოგიერთი ქართველები. ამჟამად რაიონის მცხოვრებლებს აქვთ შესაძლებლობა დაბრკოლების გარეშე გადალახონ საქართველოსთან საზღვარი, მაგრამ არ იციან, თუ რა ელოდებათ მათ იქ, როდესაც რუსი მესაზღვრეები დააყენებენ საბოლოო საზღვარს.

„ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და პოლიტიკურ პრობლემებს უნდა დავუმატოთ ფსიქოზი და სამხრეთ ოსეთის უშიშროების ორგანოების უხეში პრივიტივიზმი“, – აღნიშნავს პილარ ბონეტი, როდესაც საუბრობს მასთან მომხდარ ინციდენტზე. პოლიციამ ააფეთქა მისი კომპიუტერი, რადგან ფიქრობდა, რომ ეს იყო ბომბი, შემდეგ კი ნება მისცა მას შეეგროვებინა ნოუთბუქის ნარჩენები სამხედრო პოლიგონზე.

**პილარ ბონეტი**

**EL PAIS**

## დედამიწის ზურგზე



**სალვადორმა და კუბამ დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინეს**

ხელშეკრულებას ხელი მოეწერა სალვადორის დედაქალაქში რამდენიმე საათის შემდეგ, რაც იქ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მაურისიო ფუნესი – ცენტრალური ამერიკის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი, რომელიც არის მემარცხენე პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი. დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან სალვადორმა გაწყვიტა ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ.

* * *

**ობამას სურს, ამერიკა გახადოს ნიმუში მუსულმანური სახელმწიფოებისთვის**



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ესმის, რომ სხვა ქვეყნებს აქვთ თავიანთი ისტორია და კულტურა, მაგრამ უნდოდა, რომ მათ გაიმტკიცონ თავიანთი ეროვნული თვითშეგნება „უნივერსალური პრინციპებით“, რასაც ამკვიდრებს ამერიკის შეერთებული შტატები. „მთავარია, რომ ჩვენ ვიყოთ კარგი მაგალითი“, – აღნიშნავს ობამა.

* * *

**პაკისტანში გაათავისუფლეს თალიბების მიერ შეპყრობილი კურსანტები**

არმიის ქვედანაყოფებმა ომი გააჩაღეს თალიბებთან, როდესაც მათ ტყვეები და მძევლები გადაჰყავდათ. ცეცხლის საფარქვეშ ბოევიკები დაიმალნენ, ხოლო შეპყრობილი კურსანტები და მასწავლებლები გათავისუფლდნენ. სამხედროების ცნობით, საკითხი შეეხება ჯგუფს 80 კაცის შემადგენლობით. ადრე იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ 400-მდე მძევალი იყო.



* * *

**ეგვიპტის ხელისუფლება კვლავ ტოვებს ციხეში 25 სტუდენტს რუსეთიდან**

ისინი, ვინც ციხიდან გამოვიდა, ჩივიან მძიმე პირობების გამო ციხეებში – სულისშემხუთავი და მძიმე კამერები, რომლებშიც დაახლოებით 50 კაცი იმყოფება, ცივი წყლის უქონლობა, ექიმების არყოფნა.

* * *

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კვლავ იტყობინებიან, რომ კიმ ჩენ ირმა თავის მემკვიდრედ უმცროსი შვილი დაასახელა**

როგორც სამხრეთ კორეის საინფორმაციო სააგენტოები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების საინფორმაციო წყაროების დამოწმებით იტყობინებიან, რომ 25 მაისს განხორციელებული ბირთვული გამოცდის შემდეგ სულ მალე ადგილობრივ ხელმძღვანელებს და თავიანთი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, დაეგზავნათ განკარგულება – ფიცი მისცენ კიმ ჩენ ინს, როგორც თავისი მამის მემკვიდრეს.

* * *

**ბრაზილიის ავიაკომპანია ტამის მფრინავებს შეექლოთ ეხილათ აერობუს A-330-ის ნამსხვრევები**



ბრაზილიური თვითმფრინავი მიფრინავდა საპირისპირო კურსით და თითქოს იხილა ატლანტის ოკეანის რაიონში ხანძარი. ბრაზილიის სამხედრო საჰაერო ძალები დეტალურად სწავლობენ ამ ინფორმაციას. ათობით ადამიანი რჩება გალეანის აეროპორტის დარბაზებში იმის იმედით, რომ მიიღონ ინფორმაცია თავიანთ მახლობლებსა და ნათესავებზე.

## ⊙ წერილი რედაქციას

**(მეშვიდე გვერდიდან)**

# როდემდე გაგრძელდეს ასე?

იგი ყველა ხელისუფლების ჭურჭელს ესადაგებოდა სახურავად, არასდროს არც ერთი მთავრობის წინააღმდეგ არ გაულაშქრნია, ვიდრე, ერთ მშვენიერ დღეს, მის კეთილდღეობას არ შეეხნენ.

ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორის მიერ ჩატარებული „რეფორმა" იმ (ძველი ქართული ენის) კათედრასაც შეეხო, რომელიც დიდმა აკ. შანიძემ დააარსა და ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე გააგრძელეს სახელოვანი მეცნიერის ცნობილმა მოწაფეებმა, პროფესორებმა: კ. დანელიამ და ზ. სარჯველაძემ, ვისი შრომებიც (არა მხოლოდ ძველი ქართულის შესწავლისადმი მიძღვნილი) საქვეყნოდაა ცნობილი. ამ მეცნიერების, სრულიად ახალგაზრდების გარდაცვალების შემდეგ კათედრა დარჩა გიორგი გოგოლაშვილს, ვისაც არასდროს არც უშუალოდ, არც წერილობით შეხება არ ჰქონია ეროვნულ მოძრაობასთან და არც მოძრაობის შედეგად მიღებულ წყობასთან.

და უცებ გ. გოგოლაშვილის პოლიტიკურ ხმაჩაკმედილობას წერტილი დაესვა!

როდის და რატომ?

მხოლოდ მაშინ, როცა ხუზუას „რეფორმა" გ. გოგოლაშვილს პირადად შეეხო — იგი შემცირებაში მოყვა!

გოგოლაშვილი მაშინ აყვირდა და მაშინდელი ყვირილი საზოგადოებრივი პროტესტის ნიშანი ეგონათ, საზოგადოების უმეტესობამ კი არ იცის, რა ხვითოც ბრძანდება გ. გოგოლაშვილი **როგორც მეცნიერი, მეცნიერულ კეთილსინდისიერების სადარაჯოზე მდგომი, სადაც პატიოსნება და ობიექტურობა განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია, სადაც მართალი და ობიექტური აზრის მქონე მეცნიერს არავითარი საშიშროება არ ემუქრება. სიმართლისთვისა და ცრუავტორიტეტების წინააღმდეგ მებრძოლი კოლეგა მუდამ დიდი სიყვარულითა და მოწონებით სარგებლობს.**

როცა გოგოლაშვილის ხმაჩაწყვეტილობაზე ვლაპარაკობ, იქნებ მთლად მართალი არცა ვარ, რადგან იგი ზედმეტადაც კი ხმაამოღებელი და ხმალამოღებული იბრძოდა იმათ დასაცადად, ვისი ფრთების ქვეშაც შეყუჟული იყო, ვისი დამსახურებითაც ცხოვრებაში ადგილი იპოვა, ვის თვალებშიაც შემციცინე იყო მუდამ, თანაც ამ „ბრძოლებში" იგი არ ერიდებოდა ისეთ საქციელს , რის შესაფასებლადაც ქართულ ენაში სიტყვა არ არსებობს, ამიტომ იძულებული ვარ, მოკლედ მოგითხროთ ეს ისტორია და თქვენთვის მომინდვია, პატივცემულო მკითხველო, რა ვუწოდოთ ამის ჩამდენ კაცს.

მანამდე უნდა მაპატიოთ, რომ ორიოდე სიტყვა საკუთარ თავზე ვთქვა: ვისაც ჩემი გამოსვლები მოუსმენია ან გამოქვეყნებული წერილები წაუკითხავს, იცის, რომ მუდამ და ყველგან (მეცნიერებისა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე), სიმართლის დაცვას ვემსახურებოდი და მიუხედავად იმისა, წინ კომუნისტური მონსტრი მედგა, უკან კი მავნებლის შვილის სახელი მომდევდა (მამაჩემი 37 წელმა შეიწირა), ვიყავი სრულიად უპატრონო, სიმართლისთვის ბრძოლის გზაზე ერთი ნაბიჯითაც უკან არ დამიხევია, ავტორიტეტების წინაშე ქედი არ მომიხრია.

ენათმეცნიერებაში დაპირისპირება მომიხდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორებთან: არნ. ჩიქობავასა და ბეს. ჯორბენაძესთან. ლიტერატურათმცოდნეობაში — აკადემიკოსებთან: ალ. ბარამიძესა და გ. ჯიბლაძესთან, კრიტიკოსებთან: ბესო ჟღენტთან, გიორგი ნატროშვილთან. არას ვამბობ ნაკლებ ეპოლეტებიანებზე (იხილეთ ჩემი წიგნი „წერილები", 2008 წ.)

ჩემს ორმოცდაათზე მეტ პოლემიკურ წერილს (იხ. მით. წიგნი) ორიოდე გამოხმაურება მოჰყვა (იგულისხმება, სათქმელი არაფერი ჰქონდათ) ერთ-ერთის ავტორი გ. გოგოლაშვილი გახლდათ.

ჩემს წერილში, რასაკვირველია, არაფერ შუაში არმყოფ გ. გოგოლაშვილს არ ვახსენებდი. მაგრამ ვაკრიტიკებდი ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს — გ. გოგოლაშვილის მუდმივ პროტექესა და მამა-მარჩენალს ბესარიონ ჯორბენაძეს, რადგან ჯორბენაძე გარდაცვლილი იყო, მეტად მორიდებულად ვეხებოდი მეცნიერის იმ პოზიციას, რაც სიტყვასიტყვით იმეორებდა არნ. ჩიქობავას მოსაზრებებს ანტონ I-ის (ბაგრატიონის) მოღვაწეობის უარყოფითად შეფასების საქმეში. ლაპარაკი არ მქონია ჯორბენაძის ენათმეცნიერულ მოღვაწეობაზე.

როგორც ვთქვი, გ. გოგოლაშვილი ხმალამოწვდილი დადგა მისი პროტეჟეს დასაცავად, თანაც რა ფორმით და „მართლისმთქმელობით", თავად ნახავთ.

წიგნში, რომელიც დაბეჭდეს მ. ჯორბენაძის მოსაგონრად **(„ბესიკ ჯორბენაძე — პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე", 2003 წ.) მან ხუთი წერილი მიუძღვნა თავისი კეთილისმყოფლის განდიდებას და იქვე მიწასთან გაგვასწორა ორი მეცნიერი, თანაც ჩვენი ვინაობის გაუმხელად.**

იგი წერდა: „ერთმა კოლეგამ იმდროინდელ კომუნისტურ პრესაში (იყო ასეთი ჟურნალი „პარტიული სიტყვა") გამოაქვეყნა წერილი მეცნიერების განვითარების პერსპექტივებზე და საკმაოდ უსიამოვნო და აბსურდული ბრალდებები წაუყენა იმჟამად ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს. **პასუხის გაცემა არ უკადრია ბატონ ბესიკს. არ ღირს დროის ხარჯვადო.**

**ენათმეცნიერების ინსტიტუტზე განაწყენებულმა „ენათმეცნიერების ისტორიკოსმა" თავის „ისტორიაში" სრულიად არაობიექტურად და დაუსაბუთებლად გააკრიტიკა ბატონი ბესიკი: ვერ ერკვევა ენათმეცნიერების საკითხებშიო. ღიმილით აუარა გვერდი ამ კრიტიკოსსაც და არც მისთვის პასუხის გაცემაზე დაუკარგავს დრო — უფრო დიდი საქმეები ჰქონდა გასაკეთებელი"** (დას. წიგნი, გვ.32, ხაზი ჩემია, **ა.ფ.**)

ასე ერთი კალმის მოსმით, დღეს „სიმართლისთვის მებრძოლმა" გოგოლაშვილმა, მეცნიერებაზე „თავდადებულმა" კაცმა (მეცნიერება კი უპირველს ყოვლისა ჭეშმარიტების სამსახურს ნიშნავს) მიწასთან გაგვასწორა ორი პიროვნება, თანაც ისე, რომ ერთი სიტყვაც არ დაუძრავს იმაზე, რას ვწერდით ჩვენ, რაში ვედავებოდით ჯორბენაძეს, ვინაც პასუხის გაცემის ღირსადაც არ ჩაგვთვალა.

სამწუხაროდ, არ ვიცი ვინაა გოგოლაშვილის პირველი სამიზნე, მეორე კი — „ისტორიისა" და „ენათმეცნიერების ისტორიის" ავტორი მე გახლავართ.

ახლა კი, მკითხველო, მოემზადეთ ისეთი მკრეხელობა გაიგოთ, როგორი საქციელისთვისაც მე ქართულში სახელი ვერ მიპოვია: — გოგოლაშვილმა გარდაცვლილ ბესიკ ჯორბენაძეს მიაწერა ის გამონათქვამი, რაც გ. გოგოლაშვილის „კეთილშობილურმა" გონებამ მოიაზრა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან დაკავშირებით იგი გარდაცვლილ ჯორბენაძესთან საუბრის შინაარსს ახმიანებს. — ჩემი წიგნი დაიბეჭდა 1995 წელს, ჯორბენაძე კი გარდაიცვალა ორი წლით ადრე — 1993 წელს.

სრულიად ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ: გოგოლაშვილმა ჩემს წიგნში **„ქართული ენათმეცნიერების ისტორია"** ამოიკითხა მისი კერპის შეხედულების კრიტიკა, **სასწრაფოდ ჩაირბინა საიქიოში,** მოინახულა ბესიკ ჯორბენაძე (მაპატიოს ბატონი ბესიკის სულმა!) და უკან მობრუნებულმა ქართულ საზოგადოებრიობას ამცნო, თუ როგორ ჩაიღიმა ჩემს ნათქვამზე და **პასუხის ღირსადაც არ ჩამთვალა.**

აი, ბატონებო, ასეთი საქციელისთვის ვერ მიპოვნია შესაფერისი სიტყვა ქართულ ენაში! — იქნებ დამეხმაროთ?!

ბ. ჯორბენაძე და მისი წინამორბედი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, არნ. ჩიქობავა, გაკრიტიკებულია ჩემს 640-გვერდიან წიგნში, რომლის შექმნასაც რამდენიმე ათეული წელი მოვანდომე. ამ წიგნზე ვრცელი დადებითი რეცენზიები გამოაქვეყნეს პროფესორებმა: ზურაბ სარჯველაძემ, ალექსანდრე ღლონტმა, გუბაზ გოგატიშვილმა. მასში მთლიანად შევიდა 1979 წელს გამოქვეყნებული წიგნი — „ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან", რომლითაც გამოსვლისთანავე **დაინტერესდა კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ჰ. სვიტის სახ. საერთაშორისო ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვივიენ ლო. იგი საგანგებოდ ჩამოფრინდა თბილისში, სახლშიც მეწვია და, ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ჩამოყალიბება მირჩია** — საერთაშორისო ასოციაციაში უფასოდ გაგაწევრიანებთო.

კეთილისმყოფელ სტუმარს დავუჯერეთ. შევქმენით საზოგადოება (პრეზიდენტად მე ამირჩიეს) და სამჯერ: 1996 წელს — ინგლისში (ოქსფორდი), 1999 წელს — საფრანგეთში (პარიზი), 2002 წელს — ბრაზილიაში (სან-პაულო) ვმონაწილეობდით საერთაშორისო კონფერენციებში. დელეგაციის ხელმძღვანელი და მომხსენებელი მუდმივად ამ სტრიქონების ავტორი გახლდათ.

სამწუხაროდ, ახლა ასაკის გამო მე აღარ შემიძლია საზოგადოებას ვუხელმძღვანელო და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა მივიღო.

**ვაცხადებ საჯაროდ, თუ რაიმეს გამკეთებელია, გ. გოგოლაშვილს ვთავაზობ, ხელი მოჰკიდოს საზოგადოების ხელმძღვანელობას და გააგრძელოს საჭირო საქმე — ქართული ენათმეცნიერის მიღწევების მსოფლიო ასპარეზზე გატანა — დავივიწყებ ყოველგვარ წყენას და ამოვუდგები გვერდში.**

მოჩვენებით ოპოზიციონირებას მეცნიერების სამსახური ერჩიოს.

ორიოდე სიტყვა ე.წ. დიალოგის მოთხოვნაზეც უნდა ვთქვა.

დიალოგი ნიშნავს ორი მხარის საუბარს, ლაპარაკს, კამათს, როცა ისინი ერთმანეთს უმტკიცებენ რაღაცას, აცნობენ საკუთარ მოთხოვნებს.

როგორ არ ესმის ამ ხალხს, რომ დიალოგი მას შემდეგ მიმდინარეობს, რაც მიტინგები დაიწყო: მომიტინგეები თავიანთ აზრებს, მოთხოვნილებებს ხმამაღლა გამოთქვამენ, ხოლო მეორე, მთავრობის მხარე, ასევე ხმამაღლა (იქნებ ცოტა დაბალ ტონალობაში) უარით პასუხობს. რადგან მომიტინგეების არც ერთი მოთხოვნა არ სრულდება, ისინი განაგრძობენ მიტინგებს, სადაც ისევ და ისევ გარკვეულ მოთხოვნებს აყენებენ, ანუ ორივე მხარე თავიდანვე დიალოგის პროცესშია, ოღონდ ამ დიალოგს ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, თითქოს და იმიტომ, რომ ამ საჯარო კამათის დიალოგისთვის დამახასიათებელი ფორმა — დახურულ დარბაზში მაგიდის აქეთ-იქეთ მხარეს ჯდომა — არ მისცემია.

დავუშვათ და დასხდნენ დახურულ დარბაზში, მერე რა? რაზე იქნება მსჯელობა და ე.წ. დიალოგი? ისევ იმ მოთხოვნებზე, რაც ახლა არის და რის შესრულებაზეც მთავრობა უარს ამბობს, ხომ? შედეგი რა იქნება? — მომიტინგეთა წარმომადგენლები, ოპოზიციის პარტიათა ლიდერები, წამოაყენებენ იმავე მოთხოვნებს, მთავრობა კვლავ უარზე იქნება.

მერედა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?!

**ალექსანდრე ფოცხიშვილი,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გ. ახვლედიანის სახ. ქართული ენათმეცნიერების საზოგადოების პრეზიდენტი.**
**28.04.09**

***P. S. სამწუხაროდ, წერილი ცოტა დაგვიანებით ქვეყნდება, მაგრამ, ვფიქრობ, მას მნიშვნელობა დღემდეც არ დაუკარგავს.***

***ა. ფ.***

## ⊙ ვერნისაჟი

# თბილისური სტილის „ფუტკრის" ზეობა

**ნახევარსაუკუნოვან მიჯნას რომ გადააბიჯებ, პირველივე „ღირსშესანიშნავი" თარიღი, რომელიც პირად ჟამთააღრიცხვაში გხვდება კაცს, 55 წელია. აი, ზუსტად ამ ასაკისა გახდა მაისის მიწურულს ქართველ მხატვართა 80-იანელების თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი მიშა იაშვილი. ეს ლამაზი ორი „ხუთიანი" მხატვარმა ასევე ლამაზად, მისთვის დამახასიათებელი ქალაქური კოპწიაობით გამორჩეული პერსონალური გამოფენით აღნიშნა, რომელიც ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის გალერეაში მოაწყო.**

ვერნისაჟზე გამოფენილი თხუთმეტი მხატვრული ტილო მიშა იაშვილმა ბოლო 20 წლის მანძილზე შექმნილი ნამუშევრებიდან შეარჩია, რომლებიც, როგორც თავად აღნიშნა, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპისთვისაა დამახასიათებელი. გამოფენის საზეიმო გახსნას, დარბაზის მცირე ზომის მიუხედავად, უამრავი ხალხი დაესწრო, რომელსაც საზეიმო განწყობა კიდევ უფრო გაუძლიერა არღნის ჭყვიტინმა. აქვე იმასაც დავძენ, რომ, როგორც მუზეუმის დირექტორმა ანზორ მაძღარაშვილმა განაცხადა, რომელიც, ამავდროულად, მირზაანში ფიროსმანის სახლ-მუზეუმის დირექტორიც არის, იმედია, რომ ახლო მომავალში, მეცენატთა შემწეობით, მუზეუმის საგამოფენო დარბაზი მნიშვნელოვნად გაფართოვდება.




— ჩემი სირცხვილიც არის და სხვა ბევრი მხატვრისაც, რომ არ ვიცოდით, თუ ფიროსმანის სახლ-მუზეუმთან ასეთი პატარა, კოხტა სამხატვრო გალერეაა, რომელიც, თუ არ ვცდები, 80-იანი წლებიდან მოყოლებული მოქმედებს. კიბის ქვეშ ნიკალას ბინის გვერდით სამი ბინა ყოფილა, რომელთა პატრონები ნელ-ნელა გაიყვანეს და საგამოფენო დარბაზიც ამ ფართზე მოაწყეს, — თქვა მიშა იაშვილმა. — 55 წლისა რომ ვხდებოდი, საზოგადოებრიობისთვის გარკვეული შემოქმედებითი ანგარიშის ჩაბარება მომინდა, თავადაც გავრკვეულიყავი, გავხდი თუ არა ისეთი მხატვარი, როგორიც მინდოდა.

ერთი რამ უნდა გითხრათ: ადრინდელ გამოფენებზეც უკითხავთ, ახლაც დაინტერესდნენ — თქვენი ნახატები რა მიმდინარეობის, რა სტილის არისო. — თბილისური სტილის, უფრო სწორად, ვცდილობ, რომ თბილისური იყოს-მეთქი, ყოველთვის ამას ვპასუხობ და ვფიქრობ, რომ ამის გაკეთება ბოლომდე თუ ვერ შევძელი, ამ მიმართულებით მაინც ვივლი. ქართული რუხი ფუტკრის ამბავი ხომ იცით, გრძელი ნესტარი რომ აქვს და ამის მადლით ღალაში სხვებზე ყოჩაღი რომ არის? არადა, სხვაგან წაყვანილ-მოშენებული ერთ წელიწადში უკვე „ქართველი" კი არა, არამედ იმ მხარისა ხდება, სადაც გამოიჩეკება. ჰოდა, არ მინდა მეც იმ რუხი ფუტკრის მსგავსად მშობლიურ ფესვებს მოვწყდე და გადავჯიშდე, მინდა თბილისურმა გარემომ მასაზრდოოს.



ისე, კურიოზული კითხვების დასმა იციან ზოგჯერ, ჟურნალისტებმა. ერთმა მკითხა: რა მნიშვნელობა აქვს ამ გამოფენას, ახალი რა ხდებაო. მეც ვუპასუხე: ვერ ხედავთ, ნახატები ჰკიდია კედლებზე, აგერ არღანი უკრავს, მაგიდაზე ხილია და სამოვარი, რომელშიც კარგი კონიაკი ასხია. — კი, მაგრამ, რატომ კონიაკი და არა ჩაი? — რატომ და იმიტომ, რომ, უკაცრავად, მაგრამ, გულით არ მჯერა, რომ ნიკალა, ქიზიყელი კაცი, რომელსაც თან თიკუნი „ბარონა" ჰქონდა, მაინცდამაინც ჩაის სვამდა. ფიროსმანი ლოთი კი არ იყო, მაგრამ ჩაი სულ სხვა რამაა...

გამოფენის დახურვის შემდეგ მიშა იაშვილმა თავისი ერთი ნამუშევარი ფიროსმანის სახლ-მუზეუმის გალერეას უსახსოვრა, მისი მტკიცე რწმენით, სხვებიც, ვინც აქ ვერნისაჟს გამართავენ, ასე მოიქცევიან. ჩვენც გვჯერა ამის ისევე, როგორც იმის, რომ გალერეას ამის შესაძლებლობაც ექნება, რომ თანამედროვე ქართველ მხატვართა ნახატები თბილისელთა და დედაქალაქის სტუმართა გულის გასახარად გამოიფინოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**დემიკო ლოლაძის ფოტო.**

ფეხბურთი

# „გეორგია“, „დინამო“ და „ბერმუხა“



**„ნორჩი დინამოელის“ თასზე გათამაშებაში წრიული სისტემით (ორ წრედ) ჭაბუკ ფეხბურთელთა 10 გუნდი მონაწილეობდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო“ და „გეორგია“. გადამწყვეტი პაექრობა საინტერესოდ წარიმართა.** უპირატესობა ხან ერთ გუნდს ჰქონდა, ხან — მეორეს. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 2:2 (ბურთები თორნიკე მაჭავარიანმა, ზურაბ ჯალაღანიამ („დ“), გიორგი გოგიბერიძემ და ხადირა ნადოიანმა („გ“) გაიტანეს. პენალტების სერიაში 5:4 გაიმარჯვა „გეორგიამ“ (ზვიად ბერიძე, ზაურ კუსრაევი, ნიკა ახტიევი, შოთა ქანთარია, ლაშა გაბაძე, გიორგი ტრაპაიძე, გიორგი გოგიბერიძე, გიორგი ტიპუნოვი, მათე ჭედიშვილი, იური გოგიბერიძე, ვალერი პარასკევაშვილი, ლუკა ლაზარიაშვილი, ტატო გუგულაშვილი, გიორგი ბალიაშვილი, ლაშა რაზმაძე, გიორგი გუჯაშვილი, ოთარ ნადირაძე, ხადირა ნადოიანი; მწვრთნელები — გიორგი მელიქიშვილი, გურამ დოლიძე, დავით უნგიაძე) და მთავარი პრიზიც დაიმსახურა.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „ბერმუხამ“ „იმედს“ აჯობა — 3:2. შეჯიბრების ორგანიზატორებმა გამოავლინეს ტურნირის საუკეთესო მეკარე — გიორგი ძაძამია, მცველი — დიმიტრი გაბაშვილი, ნახევარმცველი — თორნიკე მაჭავარიანი (ყველა — „დინამო“), თავდამსხმელი — ნადირა ნადოიანი, საუკეთესო ფეხბურთელი — ზვიად ბერიძე, ბომბარდირი (26 გოლით) — გიორგი გოგიბერიძე (ყველა „გეორგია“).



— დღევანდელმა გამარჯვებამ ძალიან გაგვახარა, — გვითხრა „გეორგიას“ მწვრთნელმა გიორგი მელიქიშვილმა. — რამდენიმე თვეა, ჩვენს ნორჩ ფეხბურთელებს წარმატების მისაღწევად ძალა და ენერგია არ დაუზოგავთ. კიდევ კარგი, რომ გარჯა წყალში არ ჩაგვეყარა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც გვიქომაგა და დახმარების ხელი გამოგვიწოდა. ვეცდებით, გულშემატკივრები მომავალშიც გავახაროთ.

**გიორგი გაგუა**

**სურათებზე: გიორგი მელიქიშვილი დიპლომებს გადასცემს გუნდის წევრებს; გამარჯვებული „გეორგია“.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ხელბურთი

# ფინიშის სწორზე



**დასასრულს უახლოვდება საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც შვიდი გუნდი მონაწილეობს. გაუწყებთ ბოლო ოთხი ტურის შედეგებს:**

„თბილისი“ — „რუსთავი“ 41:19, „მამული“ — „ქუთაისი“ 32:22, „ქარიშხალა“ — „სპარტაკი“ 22:16.

„მამული“ — „სამტრედია“ 32:31, „თბილისი“ — „ქარიშხალა“ 36:22, „რუსთავი“ — „ქუთაისი“ 29:29.

„სპარტაკი“ — „მამული“ 39:30, „ქარიშხალა“ — „ქუთაისი“ 36:23, „სამტრედია“ — „რუსთავი“ 39:35.

„რუსთავი“ — „სპარტაკი“ 34:26, „თბილისი“ — „სამტრედია“ 10:0 (ტექ.), „ქარიშხალა“ — „მამული“ 10:0 (ტექ.).

36 ქულით პირველ ადგილზეა „თბილისი“, რომელსაც 8 ქულით „ქარიშხალა“ ჩამორჩება. მესამე-მეოთხე ადგილებს, შესაბამისად, 19 და 18 ქულით „სპარტაკი“ და „სამტრედია“ იყოფენ.

ამავე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: „თბილისი“-„სამტრედია“ და „ქარიშხალა“-„სპარტაკი“.

ჩოგბურთი

# ხელმარჯვედ სცემდნენ ჩოგანსა

**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის, „დინამოსა“ და ორთაჭალის კორტებზე დამთავრდა საქართველოს 12, 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა საქართველოს პირველობა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:**



**12-წლიანებში გოგონები.** 1. თამარ კუტუბიძე, 2. ნინო ჯანელიძე, 3. ელენე ყარანგოზიშვილი; **ვაჟები.** 1. სანდრო სვანიძე, 2. ლექსო სანიძე, 3. გიორგი დათაშვილი.

**14-წლიანებში გოგონები.** 1. ანი გოგვაძე, 2. ბარბარე ერისთავი, 3. თამარ ჭალაგანიძე; **ვაჟები.** 1. სანდრო დავლიანიძე, 2. მიხეილ ხმიადაშვილი, 3. შოთა მეფარიძე.

**16-წლიანებში. გოგონები.** 1. ბაბილინა მაჩაიძე, 2. სალომე კვიტაშვილი; **ვაჟები.** 1. გიორგი ცივაძე, 2. დავით ხუციშვილი, 3. ნიკა ციციშვილი.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით ჩოგბურთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ემზარ ზენაიშვილმა, გენერალურმა მდივანმა ზურაბ ქაცარავამ და ქალთა ნაკრების კაპიტანმა ლალი ზერეკიძემ დააჯილდოვეს.

რაგბი

# ოდესის ტური გადაწყვეტს

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა (ვიქტორ კოლელიშვილი, ირაკლი ყიასაშვილი, თეიმურაზ ჩიქვინიძე, დავით ჩიტიძე, ვახტანგ ბერძენიშვილი, ალექსანდრე ტუჩაშვილი, გიორგი ბეგაძე, ირაკლი გეგენავა, გიორგი კალმახელიძე, ალექსანდრე ნიჟარაძე, გიორგი შკინინი, მამუკა ნინიძე) ევროპის სერიის პირველ ტურში, რომელსაც სოპოტმა (პოლონეთი) უმასპინძლა, მესამე ადგილი დაიკავა.** მორიგი ტური მომავალ შაბათ-კვირას ოდესაში გაიმართება. ქვეჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები იქნებიან რუმინეთის, საბერძნეთის, პოლონეთისა და შვეიცარიის შვიდკაცა გუნდები



(მეორე ჯგუფში რუსები, უკრაინელები, მოლდოველები, ბულგარელები და შვედები ითამაშებენ). ოდესის ტურის შედეგზეა დამოკიდებული, ბორჯღალოსნები გერმანიის ქალაქ ჰანოვერში (11-12 ივლისი) ფინალურ ეტაპზე გაემგზავრებიან თუ არა.

სამბო

# ხალიჩაზე - ჭაბუკები

**დამთავრდა 1999-1994 წლებში დაბადებულ სამბისტთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ჩემპიონები და პრიზიორები 12 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას:**



გიორგი კვირიკაშვილი (წყალტუბო), იაკობ დიხამინჯია (ქუთაისი), ლერი ჭელიძე (წყალტუბო), ოთარ გაბუნია (ვანი), თორნიკე მუზაშვილი (მცხეთა), ჯაბა შაკულაშვილი (მცხეთა), გიგი ბერიაშვილი (თბილისი), შოთა ჩარკვიანი (წყალტუბო), დავით კვაშილავა (ზუგდიდი), ოთარ ტყეშელაშვილი (ვანი), მამუკა ჯამასპიშვილი (თელავი), ალექსანდრე მილდიანი (დმანისი).

ინტერნეტიდან

## ფრანგების ტრიუმფი მოსკოვში



**ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე „მოსკოვის გრან-პრი“, კრილატსკის ველოტრეკზე რომ გაიმართა, ფრანგმა სპრინტერებმა კევინ სერომ და გრეგორი ბოჟემ სამჯერ გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სახეობაში — 200 მეტრზე რბოლაში ადგილიდან.**

კრილასტსკის ველოტრეკი მიჩვეულია მსოფლიო რეკორდებს. ახალი რეკორდი, რუსეთელმა იუნიორებმა ტურნირის ბოლოსთვის რომ დაამყარეს გუნდურ რბოლაში 4 კმ-ზე — 4.04.448, რაც მოზრდილებისთვისაც კი კარგი მაჩვენებელია, პლანეტის 154-ე რეკორდია.

სერომ და ბოჟემ რეკორდების ნამდვილი სპექტაკლი მოაწყეს. პირველ დღეს სერომ განაახლა ბოსას რეკორდი ადგილიდან 200 მეტრზე რბოლაში — 9,650. ბოჟე უკან მისდევდა თანამემამულეს და 100 მეტრის შემდეგ უსწრებდა სარეკორდო გრაფიკს. 5-მეასედით, მაგრამ მაინც წააგო 4-ით. მეორე დღეს წინ ბოჟე იყო — 9,672, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია. მაგრამ ბოჟე რეკორდსმენად რაღაც 10 წუთი დარჩა, სწორედ იმდენ ხანს, რაც რბოლისთვის მოსამზადებლად სეროს დასჭირდა. რბოლის შემდეგ მსაჯებმა ფენომენალური შედეგი გამოაცხადეს — 9,572.

ამის შემდეგ მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფლორიან რუსომ მათ სთხოვა, მესამედაც გასულიყვნენ რბოლაზე, მაგრამ ვერ დაითანხმა.



## კანაევა ისევ პირველია

**ბოლო ხანებში თითქოს ტრადიციად დამკვიდრდა მხატვრულ ტანვარჯიშის შეჯიბრებებზე რუსეთელი ვარსკვლავის ევგენია კანაევის პირველობა, შეიძლება ითქვას, მიუწვდომლობა.**

ასე იყო ახლაც, ესპანურ მარბელიაში „გრან-პრის“ მორიგ ეტაპზე. ევგენია პირველობდა ყველა სახეობაში, თანაც დიდი უპირატესობით — მრავალჭიდშიც, სახტუნაოთი, რგოლით, ბურთით, ლენტით ვარჯიშებში. ერთადერთი, ვინც ცოტათი მაინც მიუახლოვდა ლიდერს, კონდაკოვა იყო.

## ვინ იქნება მასპინძელი?

**ცნობილია, რომ ფეხბურთში 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში უნდა გაიმართოს, მაგრამ აქამდე უცნობი იყო, თუ რომელ ქალაქებში გაიმართებოდა ფეხბურთის ამ დიდი დათვალიერების მატჩები.**

მსოფლიო ფეხბურთის შტაბმა — ფიფას ალმასკომმა გამოაცხადა ბრაზილიის 12 ქალაქი, ვინც მიიღებს ჩემპიონატის ფინალური ნაწილის მატჩებს. აი, ისინიც: რიო-დე-ჟანეირო, კურიტიბა, პორტუ — ალეგრი, სან-პაულუ, კუიაბა, მანასუ, ფორტალეზა, ნატალი, რესიფი, ბრაზილია, სალვადორი და ბელუ-ორიზონტი. მატჩების მიღებაზე კი 17 ქალაქი აცხადებდა პრეტენზიას.



შეგახსენებთ, რომ ბრაზილიამ ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება 2003 წელს მოიპოვა, ანონიმურ კენჭისყრაში დაამარცხა რა პერუ, ეკონომიკური კრიზისი რომ მოიმიზეზა.

ბრაზილია რამდენჯერმე ცდილობდა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობას, მაგრამ ამაოდ. 1986 წელს კი, როცა ის რეალურ კანდიდატად ითვლებოდა, ბრაზილიამ მოხსნა თავისი კანდიდატურა, რადგან ქვეყანა მასობრივმა უმუშევრობამ მოიცვა და ის გახდა უპირველესი საზრუნავი, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატი.

## ანჩელოტი — „ჩელსის“ მწვრთნელი

**თუმცა ლონდონის „ჩელსის“ გუს ჰიდინკმა ინგლისის თასი აალებინა, მაგრამ იქ დროებითი მუშაობის გაგრძელება აღარ ისურვა და ძირითად საქმეს — რუსეთის ნაკრების მწვრთნელობას დაუბრუნდა. ჰოლანდიელმა „არისტოკრატებთან“ 15 კვირა იმუშავა, მას შემდეგ, რაც ლუის ფელიპე სკოლარი გადააყენეს.**

„ჩელსის“ კი 2009 წლის 1 ივლისიდან სათავეში კარლო ანჩელოტი ჩაუდგება, ბოლო რვა წელიწადი იტალიურ „მილანს“ რომ წვრთნიდა.

„კარლო ძირითადი პრეტენდენტი იყო ამ თანამდებობაზე, — ნათქვამია ლონდონური კლუბის განცხადებაში, — დიდი ხნის მანძილზე მან დაამტკიცა, რომ შეუძლია ისეთი გუნდის გამოძერწვა, რომელიც იბრძვის, თანაც წარმატებით, მაღალი ადგილებისთვის როგორც ეროვნულ, ისე საერთო ევროპულ ტურნირებზე... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა, ვინც ქომაგობს „ჩელსის“, თბილიად მიესალმება მას“.



ბრიტანულ პრესას თუ ვერწმუნებით, ანჩელოტი წელიწადში 6,5 მილიონ გირვანქას მიიღებს. ამას გარდა, გუნდის პატრონის რომან აბრამოვიჩისგან მიიღებს 100 მილიონ გირვანქას (150 მილიონ დოლარს) მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების შესაძენად.

## პამელა და მისთანები „პორტსმუტს“ წაადგებიან?

**ინგლისური „პორტსმუტის“ ახალ მფლობელს, არაბ ბიზნესმენს, დოქტორ სულეიმან ალ-ფახიდს უნდა, მისი ახალი შენაძენი სუპერკლუბად გადააკეთოს, რისთვისაც გუნდის მთავარ მწვრთნელად დიეგო მარადონას მიწვევასაც კი აპირებს, რომელიც ახლა არგენტინის ნაკრებს ხელმძღვანელობს.**

არაბ ბიზნესმენს ტრიბუნაზე არც ვარსკვლავების მიწვევა ავიწყდება. გაზეთის The Sun ცნობით, მოწვეულთა შორის არიან პამელა ანდერსონი (სურათზე), ლეონარდო დე კაპრიო, დემი მური, ეშტონ კატჩერი, ანტონიო ბანდერასი და ბევრი სხვა.



თუმცა, როგორც ამბობენ, „პორტსმუტის“ ალორძინებას მარტო ვარსკვლავების მიწვევა არ ეყოფა, ალბათ თავად გუნდშიც უნდა მიიწვიოს ფეხბურთის ვარსკვლავებიც, თორემ მარტო პიტერ კრაუჩის ყურება ამ საქმეს ვერ ეყოფა.

◎ „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავება

# რაული და მისი ძმები ქართულ ქუდს არასდროს იხდიან!

**„სადაც კი მივიდა, სადაც კი ჩავიდა, ქართულ ქუდს არასდროს იხდიდა თავიდან“. იოსებ ნონეშვილის ეს სტრიქონები თუ ვინმეს ეკუთვნის, უპირველესად, რაულ ჩილაჩავასაც — გამორჩეულ ქართველ პოეტს, უკრაინული პოეზიის ქართულ ენაზე ბრწყინვალე მთარგმნელს, რომელმაც, სტუდენტობიდან მოყოლებული, მთელი შეგნებული ცხოვრება უკრაინაში გაატარა და, როგორც იტყვიან, დღე და ღამ ზრუნავდა იმაზე, რომ ორი ერის ოდინდე-**





**ლი ძმობა და მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცებულიყო.** რა დასამალია და, სხვათა შორის, ამ შემართებას უკრაინა უფრო უფასებდა ქართველ შემოქმედს. ის კი არა, ამ რამდენიმე წლის წინათ, უკრაინის ხელისუფლებამ რაულ ჩილაჩავას დიპლომატიური სამსახურიც კი ანდო — ლატვიაში უკრაინის ელჩად მიავლინა.

იქაც ქართულ საქმეს აკეთებს რაული. ლატვიური პოეზია ხომ თარგმნა ქართულად, ამ რამდენიმე დღის წინათ, რიგაში, მისი და ლატვიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კონსტანტინე კორკელიას პატრონატით კიდევ ერთი დიდი საქმე გაბრწყინდა — „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის წარდგენა გაიმართა.

იმ დღეს რიგის ერთ-ერთ პრესტიჟულ დარბაზში ქართულ, ლატვიურ და უკრაინულ ენებზე ჟღერდა რუსთაველის უკვდავი შაირი, ისმოდა „ვეფხისტყაოსნის“ სადიდებელი. სწორედ მისი სამენოვანი გამოცემის წარდგენას მიეძღვნა ხალხმრავალი შეკრება, რომელიც ლატვიაში საქართველოსა და უკრაინის საელჩოებმა მოაწყვეს. საღამოს დაესწრნენ მწერლები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, სტუდენტები, ლატვიაში მცხოვრები ქართველები, უკრაინელები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

„უნიკალური პროექტი“ უწოდა „ქართველი ერის ბიბლიის“ მდიდრულად გაფორმებულ სასაჩუქრო გამოცემას გამოჩენილმა ლატვიელმა პოეტმა კნუტ სკუენიექსმა.

სახალხო დიპლომატიის აპოთეოზად მიიჩნია სამენოვანი „ვეფხისტყაოსანი“ ასევე სახელოვანმა ლატვიელმა პოეტმა იმანტ აუზინშმა, რომელიც ლატვიური თარგმანის რედაქტორი და ბოლოსიტყვაობის ავტორიცაა.

„ორმა ქართველმა, რომლებიც ორი მოძმე სახელმწიფოს საელჩოებს უდგანან სათავეში, ჩვენს საზოგადოებას უჩვენეს იშვიათი ტოლერანტობის ნიმუში, ხაზგასმით წარმოაჩინეს საქართველოსა და უკრაინის მართლაც მეგობრული დამოკიდებულება ლატვიისადმი,“ — შენიშნა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ილგა იანსონემ.





საღამოზე მოწვეულმა სტუმრებმა საჩუქრად მიიღეს არა მარტო რუსთაველის პოემა, არამედ „ბადაგონის“ შესანიშნავი ღვინით ასწიეს ქართველთა, ლატვიელთა და უკრაინელთა ძმობის სადღეგრძელოც. ცნობილმა ქართულმა კომპანიამ, რომელიც ამჟამად ლატვიის ბაზარზეც შემოდის, თავისი შესანიშნავი პროდუქციით გვირგვინი დაადგა ორი საელჩოს გამორჩეულ აქციას.

გამოცემის იდეის, წინასიტყვაობის და შენიშვნების ავტორი, შემდგენელი და ქართულ-უკრაინული ტექსტების რედაქტორია პროფესორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **რაულ ჩილაჩავა,** ლატვიური ტექსტის რედაქტორი, **იმანტ აუზინში,** ილუსტრაციები **სერგო ქობულაძისა,** მთარგმნელები ლატვიურ ენაზე **ეკაბ იანსონ-საივა, არვიდს სკალბე,** მთარგმნელი უკრაინულ ენაზე **მიკოლა ბაჟანი.** საელჩოები ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობას უხდიან რიგაში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს **ბესარიონ ბერაძეს და გოჩა თუთბერიძეს.**

ჯვარი ეწეროს ასეთ ქართულ საქმეებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ ახალი წიგნები

# მშობლიური ისტორიის სიყვარულით შექმნილი

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ეგიდით ახლახან გამოიცა ცნობილი ისტორიკოსის, პროფესორ ზურაბ პაპასქირის სამეცნიერო ნარკვევების ვრცელი, დიდტანიანი კრებული „და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“.**

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული და ნაწილობრივ გამოქვეყნებული წიგნები საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე. წიგნი 35-წლიანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ერთგვარი ანგარიშია. მასში გაშუქებულია ქართული სახელმწიფოებრიობის, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის, აფხაზეთის ისტორიისა და ერთიან ქართულ სახელმწიფოში მისი სტატუსის გარკვევასთან დაკავშირებული საკითხები. „ქართული სახელმწიფო“, „ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე“, „აფხაზეთი ტკივილი ჩვენი“, „ომის ექო“, „საქართველოს ისტორია უმაღლეს სკოლაში“, „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული დაკვირვებები, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია“, „შტრიხები პორტრეტებისათვის“, „კვალი ნათელი“, — ეს ქვესათაურები ამშვენებს წიგნში შესულ მასალებს.





ქართული სახელმწიფოებრივი მთლიანობის პრობლემა საინტერესოდაა წარმოჩენილი წერილებში: „და აღმოცისკრდა საქართველო“, „ბედიის ტაძარი — ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო“, „ნიკოფსით დარუბანდამდე, ანუ დიდი დავითი“... ავტორი გამუდმებით აფხაზეთის ტკივილს დასტრიალებს, აანალიზებს საქართველო-რუსეთის ომისა და აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზებს, აქვე მისი მოწესრიგების პერსპექტივებსაც გვთავაზობს.

წიგნში გაეცნობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის — სოხუმის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის მიერ განვლილ გზას, ასევე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილ მისალმების ტექსტს.

ზურაბ პაპასქირი გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტებსაც გვიხატავს. ესენი არიან: გიორგი შარვაშიძე, შოთა მესხია, მარიამ ლორთქიფანიძე, შოთა ბადრიძე, ზურაბ ანჩაბაძე, ანატოლი ნოვოსელცევი, ედიშერ ხოშტარია-ბროსე, მურმან ბერია, ბახვა გამყრელიძე, ვლადიმერ ქარჩავა.

ეს სამეცნიერო-პოლიტიკური თუ პოლემიკური წერილები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა თუ ჟურნალებში, ასევე პერიოდულ პრესაში. ავტორმა 1993 წლის გაზაფხულზე აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების პერიოდში მოამზადა ლექცია-მოხსენება (ერთგვარი მეთოდური სახელმძღვანელოც) საქართველოს საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო დოქტრინაზე, რომლის საფუძველზეც ჩატარდა მეცადინეობები საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა საჯარისო ფორმირებაში. ეს ლექცია-მოხსენებაც წიგნში უცვლელად ქვეყნდება. „და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ ეძღვნება გამოჩენილი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ შოთა მესხიას ხსოვნას.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ პაპასქირი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარეა, ამავე ორგანიზაციის პერიოდული სამეცნიერო გამოცემის „საისტორიო ძიებანის“ მთავარი რედაქტორი, გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ეს სოლიდური, 630-გვერდიანი წიგნი „და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ კარგი საჩუქარია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრეებისთვის.

**ნატა ნიბლაძე**

◎ ინფორმაცია

## აფეთქება ინგირში

**1 ივნისს გვიან ღამით, დაახლოებით 03:20 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში სარკინიგზო მაგისტრალის მონაკვეთზე ძლიერი აფეთქება მოხდა.**

**არსებული ინფორმაციით, აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების მინები ჩაიმსხვრა. ადგილზე უკვე მუშაობენ სამართალდამცველები და გამნაღმველები.**

**აღსანიშნავია, რომ რკინიგზის ცენტრალური მაგისტრალის იმ მონაკვეთზე, რომელზეც აფეთქება მოხდა, გუშინ გამთენიისას, თბილისი-ზუგდიდის სამგზავრო მატარებელს უნდა გაევლო, თუმცა აღნიშნული ინციდენტის გამო, რეისი არ შესრულდა.**

ჯი-ეიჩ-ენი



◎ გამოიცა

# ლახტის წრეში გამომწყვდეული კაცის ცხოვრება

ცხოვრების ნახევარზე მეტი გაუვლია ცნობილ პროზაიკოსს და პუბლიცისტს **ნოდარ კობერიძეს,** ულვაწია, უბრძოლია, როგორც შეეძლო, სამშობლოს სატკივარი გულთან მიუტანია და, ახლა, თავის ახალ კრებულში, რომელსაც **„ლახტის წრეში“** ჰქვია, მკითხველს აუწყებს, რომ ლახტის წრეში ტრიალი იყო ჩემი შემოქმედებითი ცხოვრებაო, „წრეში დგომაა შემოქმედის ცხოვრება, რომლის ირგვლივ მარადიულად დასისინებენ გავეშებული, გატლაშუნებული გრძნეული ქამრები და თუ მწერალი გქვია, რაც უნდა მტკივნეული იყოს, უნდა წარსტაცო მას ხელი“... ამბობს იგი და, მართლაც, ამ წიგნში — რომანში, მოთხრობებში თუ პუბლიცისტიკაში, მკითხველი იგრძნობს, თუ როგორ სიმართლით, მარჯვედ ტრიალებდა ლახტის წრეში ნოდარ კობერიძე.





ისე, ამ ლახტის წრეში ტრიალით გვარიანი ბიოგრაფიაც შეუქმნია ჩვენს ნოდარს. ახალი წიგნის გარეკანიდან, მაგალითად, მკითხველი იგებს, რომ ნოდარ კობერიძე ავტორია წიგნებისა: „ჟოკეის ბედის ნებიერი“, „წყალდიდობა“, „რომ გაიმარჯვო, ერეტიკოსი უნდა იყო“, „ბედისწერა საქართველოსი“, „ვინც მახვილს აიღებს“, „ასლან აბაშიძის პიროვნება“, „მეორე ფორმა“, „ორი გოლგოთა“. სხვადასხვა დროს იგი რედაქტორობდა და გამოსცემდა გაზეთებს: „ქართული ფეხბურთი“, „თემი“, „სარანგი“, „ალორძინება“, „ტაოკლარჯეთი“, „მესამე ათასწლეული“, „აღმაშენებელი“... ასე რომ, ნოდარ კობერიძეს, თავის ახალ კრებულში, ვეცნობით, როგორც ცხოვრებისგან დაბრძენებულ, დალვინებულ შემოქმედს.

**ალუდა ნიქაბაძე**



**მამა ლუკა, მეუღლე მარინა ბზიშვილი, შვილები ლუკა, თეკლა, და ლელა ხუნდაძეები, სიძე ზურა, დისწულები ანი, სალომე ნადირაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მამუკა ხუნდაძე**

**პანაშვიდი 2, 3 VI, 17 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი 47, კორპუსი 19, გამოსვენება 4 VI, 14 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.**

---

**ვიზიარებთ ქალბატონ ნანა ჯიოევას მწუხარებას დედის**

**თებრო თიგიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის თანამშრომლები.**

---

**ჯიმშერ და მურად ანჯაფარიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ბატონ დემურ კეკელიას ძმის**

**მიხეილ (მიშა) კეკელიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ძველი თბილისის რაიონის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კავშირის პირველადი ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე**

**ალექსანდრე ვერულავა**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

### ქველმოქმედება

# „პიონერფილმის“ ვარსკვლავი გაიხსნა



**ბავშვთა დაცვის დღეს შპს „მოზიტელმა“ და სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან ერთად, უპატრონო ბავშვთა სახლ „რწმენას“ დასახმარებლად საქველმოქმედო ღონისძიება გამართა.**

სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაში ბავშვებისთვის ნახატები გამოიფინა და ფილმები უჩვენეს. ამის შემდეგ პატარები „მოზიტელის“ მთავარ ოფისში წაიყვანეს, მათ გასართობი პროგრამა წარუდგინეს და საჩუქრები გადასცეს. ბოლოს ბავშვებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემ უმასპინძლა, სადაც მათთვის სპექტაკლი გაიმართა.



ორგანიზატორებმა სპეციალური ყუთიც დაამზადეს შემოწირულობისთვის. შემოსული თანხით კი ბავშვთა სახლისათვის პროდუქტები შეიძინეს.

იმ დღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ „პიონერფილმის“ ვარსკვლავი გაიხსნა.

**ანა კვარაცხელია**
**მურად ალაშვილის ფოტო.**

### ინფორმაცია

## თვითმკვლელობა ვარკეთილში

**გუშინ გამთენიისას ვარკეთილში 47 წლის მამაკაცმა თავი მოიკლა.**

შემთხვევა ვარკეთილის პირველ მიკრორაიონში მოხდა. გარიკ სუმბათიანი საცხოვრებელი კორპუსის მე-8 სართულიდან, საკუთარი სახლის აივნიდან გადმოხტა.

ის სასწრაფო დახმარების მისვლამდე, ადგილზევე დაიღუპა. მეზობლების განცხადებით, სუმბათიანი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ჯი-ეიჩ-ენი

### დაიჯესტი

## სასწაულის მოლოდინში



**გასული შემოდგომა მოსკოველ კრიმინალისტებს ეგზოტიკური აფიორებით დაამახსოვრდათ, რომლებიც რუსეთში შორეული კენიიდან ჩაიტანეს.** აფრიკელები მოსკოვში, მის შემოგარენსა და კალინინგრადში სასწაულის მორწმუნე ბიზნესმენებს პოულობდნენ, რომლებსაც არწმუნებდნენ, რომ შავკანიანმა ჯადოსნებმა მოიგონეს დოლარებისა და ევროს... თეთრ ქაღალდებად გადაქცევის ხერხი, რაც გარიგებათა უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა (მაგალითად, საზღვარგარეთ გატანის დროსძ (?!ძ. ჯადოსნობის „უკან დასატრიალებლად“ საჭირო იყო თეთრ ქაღალდებზე ნაღდი დოლარებისა და ევროების მიდება და რამდენიმე საათის განმავლობაში „გასამჟღავნებლად“ დატოვება. მეტიც: კენიელები ამ სასწაულის დემონსტრირებასაც ატარებდნენ, ხოლო იმის გამო, რომ ფურცლები ბლომად იყო, პროცედურის დასაჩქარებლად საჭირო იყო ნამდვილი კუპიურების იგივე რაოდენობა, რაც ქაღალდი. ბიზნესმენთა ზარალმა 60 ათას დოლარს გადააჭარბა, ოთხი „ჯადოსანი“ კი დააკავეს.

## ძვირფასი ჯუჯები

**ეს ზრდასრული ცხენი სიმაღლით 80 სანტიმეტრია და სულ 20 კილოგრამს იწონის, თუმცა ამ „სათამაშოს“ შვილებისთვის ყიდვა ცოტა მშობელს თუ შეუძლია.** საქმე ის არის, რომ ეს ჯუჯა ცხენები, რომლებსაც არგენტინელი ფერმერის კარლოს მონილიოს შთამომავლობა კვლავაც აშენებს, 50 ათასი დოლარი და უფრო მეტიც ღირს.



## ძაღლის ერთგულება



**ნიუფაუნდლენდ ემას ამბავს თავის დროზე მრავალი ბრიტანელი აუცრემლებია. 15 წლის მანძილზე ემა თვალისჩინდაკარგული შეილა ჰოფენის გამძღოლი იყო, რომელმაც თვალის ოპერაციის შემდეგ როგორც იქნა, იხილა თავისი ერთგული მეგობარი.** მოგვიანებით კი გამძღოლი თავად ემას დასჭირდა და ის ორი წლის ხვადი ბექენი გახდა. ემა ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მისს ჰოკენმა ადამიანისა და ცხოველის მეგობრობისადმი მიძღვნილი ორი წიგნი გამოაქვეყნა.



## სამეფო სპილოს მარტოობა

**სპილო, რომელიც საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV ძღვნად მიართვეს, ხუთი წლის განმავლობაში... არ დაწოლილა. მას ფეხზე დამდგარს ეძინა, თავს კი ეშვებით იმაგრებდა, რომლებსაც ვოლიერის ქვის კედელში გამოტეხილ ორ ხვრელში ყოფდა. მეცნიერები ამ ფენომენს იმით ხსნიან, რომ როცა ველური სპილოების ჯოგი იძინებს, ისინი აუცილებლად გუშაგს აყენებენ, სამეფო სპილო კი მარტოკა იყო...**



ერთ ამერიკულ ცირკში 35 მამრი სპილო იყო და დაძინების დროს ხუთი მათგანი მუდამ ფეხზე დამდგარი თვლემდა, რომელთაგან ორს ყოველ ნახევარ საათში დასვენებული თანამოძმეები ცვლიდნენ. ეს ველური ცხოველების გონივრული სიფრთხილეა, რადგან მწოლიარე სპილოს ფეხზე წამოსადგომად საკმაო დრო სჭირდება, უეცარი თავდასხმისას კი გუშაგებს შეტევის მოგერიება ყოველთვის შეუძლიათ.

## ვინ არის თქვენი ორეული?

**უძველესი დროიდან ცნობილია ტყის კალენდრები, რომლებშიც ხეები წლის სხვადასხვა დროსთან ასოცირდებიან. ყველაზე მეტად გავრცელებულია დრუიდების ჰოროსკოპი, რომლის საფუძველი მათი მსოფლმხედველობაა.** დრუიდების (ანუ „მუხების ადამიანების“ძ წარმოდგენით ადამიანის სიცოცხლის განმსაზღვრელია მზე და ხე, რომლებიც კაცის ბედის, ხასიათისა და ნიჭის საფუძველი მისი დაბადების დღეს იყრებოდნენ და დედამიწის მზისგან დაშორებაზე დამოკიდებული იყო. ამ ზემოქმედების გამოსათვლელად მათ დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის წლიური გზა 36 თითქმის თანატოლ მონაკვეთად დაყვეს, რომლებიც ხეების 18 ნიშნის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან. თითოეული ხე ორბიტის ორ მონაკვეთზე ზემოქმედებს, რაც დედამიწის მზესთან მაქსიმალური მიახლოებისა და მაქსიმალური დაშორების ვადებს შეესაბამება. ოთხი დამატებითი ნიშანი დაბადებულ ადამიანებს თავიანთ ღირსებებსა და ნაკლებს ანიჭებენ. დრუიდების მიერ ორ ათას წელზე მეტი ხნის წინათ შექმნილი ჰოროსკოპი კაცს საშუალებას აძლევს, ხეებში თავისი ორეული გამონახოს, რომელიც უბედურებასა და დარდს თავიდან ააცილებინებს, ძალასა და ენერგიას შემატებს. საამისოდ კი საკმარისია თხუთმეტიოდე წუთი მის ტანს მიეყრდნოს და ფოთოლთა შრიალს მიუგდოს ყური...



**უცხოური პრესის მიხედვით**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

### კადრი



### ანეკდოტები

— შენ გჯერა, რომ სიზმარი ახდება ხოლმე? — ეკითხება მიხო გოგოს.
— მჯერა.
— მაშინ გაიხადე.

* * *

მათემატიკის მასწავლებელი ბავშვებს დავალებას აძლევს:
— ბავშვებო, ჩაიწერეთ და დათვალეთ, ჯამში რამდენი უნდა გადაიხადოთ, თუ ერთი ბანკისა გმართებთ 10 ათასი, მეორესი — 15 ათასი, მესამესი — 25 ათასი, მეოთხესი კი — 30 ათასი?
გადის ხუთი წუთი. ყველა ბავშვი გულმოდგინედ ცდილობს ციფრების შეკრებას, მიხო კი ზის და ჭერს შესცქერის.



— აბა, მიპასუხე, მიხო, —ეუბნება მასწავლებელი.
— არ ვიცი, სულ რამდენია დავალიანება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენი ოჯახი სხვა რაიონში გადადის საცხოვრებლად და ტელეფონის ნომერსაც იცვლის...

* * *

— მე ყველაფრის გაკეთება შემიძლია, გარდა უცნობ მამაკაცთან სექსისა.
— მაშინ გავიცნოთ ერთმანეთი, ქალბატონო.

* * *

დარწმუნებული ვარ, დღეს რომ მარსზე წყალი აღმოაჩინონ, ხვალ იქ ჩინელები ბრინჯს დათესავენ.

* * *

— რომელი საათია?
— საათი არა მაქვს.
— მაშინ ის მაინც მითხარით, სადა ვარ?
— არც კომპასი მაქვს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.